

სად გაქრა ჯეინი

ვერცხლისფერი მაგიდიდან უსწორმასწოროდ გადაკეცილი ფურცელი ფრთხილად აიღო გამომძიებელმა და სამხილების პარკში მოათავსა. ოთახში უამრავი ჟანგბადი და გაურკვევლობა ტრიალებდა.

- თვითმკვლელობა კოსმოსში! - ფიქრობდა და გონებაში ათასგვარ ვერსიას ატრიალებდა ერთმანეთის მიყოლებით.

სუსტად განათებული ლამპიდან მზხინვარე შუქი მაგიდის ცენტრისკენ იღვრებოდა და მასზე განლაგებულ ნივთებს ოქროსფრად ანათებდა. ელექტრო კალამი, ჯიბის პლანშეტი, მაჯის ციფრული საათი აკურატულად დაელაგებინათ ზედაპირზე, თითქოს ასეთი თანმიმდევრობით საგანგებოდ მოათავსესო.

გამომძიებელი მაღალი, ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცი იყო, მხრებამდე დაშვებული ღია ფერის თმებით და დიდი ნათელი თვალებით. მარცხენა ხელი მჭიდროდ მიეკრა მუცელზე და მარჯვენა ხელით ნიკაპი ეჭირა, საკუთარ თითებში ჩამალული. შეფიქრიანებული ჩანდა. მისი შორსმჭვრეტელი მზერა გარემოს ათვალთვლებდა ხარბად. სისხლის სამართლის კოდექსის 1124-ე პრიმა მუხლი - მინც ვერაფრით უსადაგებდა ამ საქმეს თვითმკვლელობის მუხლს, მაგრამ რადგან ერთგვარი დავალება ჰქონდა, უხალისოდ მიჰყვებოდა მის კარნახს.

- გგონიათ, ეს მართლა თვითმკვლელობაა? - მოულოდნელად აავსო ოთახი ქალის ხმამ. გამომძიებელი არ შეტრიალებულა, ისედაც მიხვდა, ვინ იყო კითხვის ავტორი, დიდი ხანია ელოდა ამ ხმას... შორეულსა და რბილს.

- ექსპერტიზას უნდა დაველოდოთ, მანამდე არაფრის თქმა არ შემძლია - ცდილობდა დამარწმუნებელი ტონი ჰქონოდა და ნერვიულობა რომ არ შეტყობოდა, თითებით იჭერდა საკუთარ სხეულს.

- მე მინც მგონია, რომ ჯეინი ამას არასოდეს გააკეთებდა - თითქოს საგანგებოდ, წინ აეტუზა ქალი გამომძიებელს. კეფასთან შეკრული გრძელი თმა უსწორმასწოროდ გადმოჰყვროდა, ჩაფხუტი მოეხსნა და წელზე მიბჯენით აკავებდა. სკაფანდრის შიგნიდან, გამოტუმბულ ჰაერში სახე გასწითლებოდა და ლოყები დამორცხვილი ბავშვივით უელავდა. გამომძიებელს დაბნეულობა შეეტყო, თვალი აარიდა ქალის სილუეტს და ოთახის კუთხისკენ გადაადგილდა.

მის წინ მარია იდგა. გამომძიებლის ცხოვრებაში პირველი და ერთადერთი სიყვარული, რომელმაც მიწიერ ცხოვრებას ზეცაში ყოფნა ამჯობინა და კოსმოსური ხომალდის ერთ ნაწილში დაიდო ბინა განუსაზღვრელი ვადით.

- როგორც სტატისტიკა აჩვენებს - თითქოს ამოსუნთქვას ამოაყოლაო სიტყვები, ისე მძიმედ ამოუშვა გამომძიებელმა, მერე ნელ-ნელა მხრებში გასწორდა, სამხილით სავსე პარკი თავდაჯერებულად გადადო გვერდზე და გააგრძელა: როგორც სტატისტიკა აჩვენებს, კოსმოსში თვითმკვლელობის რიცხვი შემცირებულია წინა ხუთ წელთან შედარებით და...

- და როგორც ვარაუდობენ, ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება! - სანახევდოდ ღია კარებში ხომალდის კაპიტანი, შუახნის მამაკაცი ედვარდ ედისონი იდგა. ოთახში შემოსასვლელად სკანირების ღილაკს დააჭირა თითი. მისი მონაცემები გამჭირვალე ეკრანმა გვერდულად გამოიტანა და სისწორის დასადასტურებლად თითის ანაბეჭდის გამოყენება

მოითხოვა კაპიტნისაგან. ოთახი მეტისმეტად პატარა იყო სამი ადამიანის დასატევად. ყველა თვალი თავისდაუნებურად ხვდებოდა ერთმანეთს და სხეულიდან გამოყოფილი სითბოც ახლა უფრო მკვეთრად იგრძნობოდა.

- მთელს ეკიპაჟს ეჭვი გვეპარება იმაში, რომ ჯეინმა თვითმკვლელობა ჩაიდინა და რატომ მოითხოვს ხელმძღვანელობა ამ მუხლით გამოიძიონ საქმე? - თვალი თვალში გაუყარა ედვარდმა გამომძიებელს.

- დოქტორო ედისონ, მე სიამოვნებით მოგახსენებდით ჩემს პირად აზრს ამ ბურუსით მოცულ საქმეზე, მაგრამ თქვენთან, როგორც ეჭვიმტანილთან, ამ ეტაპზე საქმის გარემოებებთან დაკავშირებულ თემებზე ვერ ვისაუბრებ, გთხოვთ, გამიგეთ - გულწრფელი სინანული ეწერებოდა სახეზე გამომძიებელს. კაპიტანმა ღრმად ამოიოხრა, ნერვიულად აათამაშა თითები მაგიდაზე და თითქოს უკან დაიხია, ტონი შეურბილდა, დაიმორცხვა და სასხვათაშორისოდ დასვა შეკითხვა:

- რა უცნაურია ეს ცხოვრება, როგორ შეიძლება იყო ეჭვიმტანილი იმ ადამიანის მკვლელობაში, რომელმაც ცხოვრება დაგანახა, იდეალებისთვის ბრძოლა გასწავლა და სამყაროს მიღმა მოგზაურობაში გამოგყვა დაუფიქრებლად?

ოთახში უსიტყვო დუმილი და სევდანარევი ფიქრები გამეფებულიყო.

„პლანეტა LL84-ის შესახებ ჯეინმა მაშინ შეიტყო, როცა ხომალდზე ეკიპაჟის მეორე საფეხურის თანაშემწედ მუშაობდა. მას, როგორც დიპლომირებულ დოქტორს, წვდომა ჰქონდა სხვადასხვა ხარისხის საიდუმლო დოკუმენტებთან. სწორედ ამ საშუალებით გაარკვია მან საიდუმლო ექსპედიციის დეტალები, სადაც პლანეტა LL84-ზე სიცოცხლის ნიშნები გამოიკვეთა და მათგან მიღებული სიგნალი აღიქვეს, როგორც დახმარების თხოვნა. უცნობ პლანეტაზე მობინადრეების ასეთი სიგნალი არაერთხელ დაფიქსირებულა, თუმცა კონკრეტულად რა დახმარებას ითხოვდნენ, დღემდე უცნობია. ამ მიზეზით ჯეინი იმ რამდენიმე ადამიანს შორის აღმოჩნდა, რომელმაც მიზნად დაისახა ახალი პლანეტის დეტალური გამოკვლევა და მასზე სტუმრობა.

- იმ რამდენიმე ადამიანს შორის თქვენც იყავით, ასეა თუ არა?

- დიახ, მე და ჯეინი ბოლოს ორნი დავრჩით ამ იდეით შეპყრობილები...

- გთხოვთ, სასამართლოს განუმარტოთ რას ნიშნავს, თქვენ ორნი დარჩით?

- მოგახსენებთ. თავდაპირველად სულ შვიდმა ადამიანმა იცოდა ამ საიდუმლო მისიის შესახებ, მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, ახალი პლანეტის მიმართულებით ხომალდის გაშვება დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული. ერთი მხრივ, ტექნიკა არ გვიწყობდა ხელს, რომ მოულოდნელი შეხვედრისთვის დაცული ვყოფილიყავით, ჩვენ ხომ წარმოდგენა არ გვქონდა, რა გველოდა ახალ პლანეტაზე... და მეორე მხრივ, ეკიპაჟის წევრებს არ ჰქონდათ გავლილი „სისტემური გადამზადების და გონებრივი აღჭურვის“ სრული კურსი...

- უნდა გაგაწყვეტინოთ! აგვიხსენით, რას ნიშნავს ამ კურსის გავლა? და განგვიმარტეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი ის, რომ არავის ჰქონდა გავლილი ეს კურსი?

- ახალი პლანეტიდან მიღებული სიგნალის გასაშიფრად საჭირო იყო სპეციალური პროგრამის შემუშავება, რათა ჩვენ დაახლოებით მაინც გვექონოდა წარმოდგენა, რა ხდებოდა იმ

პლანეტაზე და შესაბამისი აღჭურვილობით დაგვეგეგმა მისი მიმართულებით მარშრუტი. სწორედ ამ კომპლექსური პროგრამის დასახელება იყო „სისტემური გადამზადების და გონებრივი აღჭურვის კურსი“. ვერავინ გაიარა კი ნიშნავს იმას, რომ ვერავინ შეძლო ისე გაეწვრთნა გონება, რომ მზად ყოფილიყო ახალი პლანეტის გამოსაკვლევა. 50 წლის წინ დაიწყო ამ საკითხვის კვლევა, თუმცა არავის შეეძლო განესაზღვრა საბოლოო შედეგები. არავის, გარდა ჩვენ ორისა... დოქტორი ჯეინ ჰოკინგი და მე ახალ პლანეტაზე ფიქრმა შეგვიპყრო...

- გასაგებია, ბატონო ედისონ, განაგრძეთ!

- ჯეინი პირველი და ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ორმოცდაათი წლის შემდეგ შეძლო ამ პროგრამის შემუშავება, ალგორითმების ისე აწყობა და ორბიტული გამოთვლების აღრიცხვა, რომ ახალ პლანეტაზე გასასვლელი გზა ფაქტობრივად გახსნილი გვექონდა. იცით ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ჯეინი ახალი იმედი გაჩნდა დოქტორებისთვის და საერთოდ კაცობრიობისთვის. გაჩნდა ახალი პლანეტის აღმოჩენის რეალური შესაძლებლობა, იქნებ ახალი ცივილიზაციისაც... ჩვენ შეგვეძლო გაგვეცა მილიონობით წლის დაგროვილ კითხვაზე პასუხი: ვართ თუ არა მარტო ამ სამყაროში და თუ არა, ვინ არიან ჩვენი მეზობლები, რომლებიც სრულიად გაცნობიერებულ შეტყობინებებს გვიგზავნიან კოსმოსის ერთი ნაწილიდან და ითხოვენ რაღაცას. ჯეინი მზად იყო ამ კითხვებზე გაეცა პასუხი, სანამ...“.

გამომძიებელმა დაკითხვის ოთახში სასამართლოზე დოქტორი ედისონის გამოსვლის ნაწყვეტი გამორთო.

- შენი ამ დაკითხვის მერე ჩავერთე მე საქმეში, ამიტომაც მოგვიწვეს ისევ თავიდან ვისაუბროთ ყველა იმ თემაზე, რაზეც უკვე გისაუბრიათ და ამ ნაწილში იქნებ რამე სიახლეც გამოგვეკვეთოს - თანაგრძნობით უმზერდნენ გამომძიებლის თვალები კაპიტნის მოცეცილ სხეულს, მთელი ტანით რომ იჯდა სკამზე და განძრევაც კი უსიამოვნო ფიქრებს აღუძრავდა.

- მაშ, ასე რატომ არჩია... მოდი, ედ, ახლა თავისუფალი ვარ მეტეაღმსწერებისგან, აქ კამერებიც გამორთულია, სამთავრობო აგენტებიც შორს არიან, ამიტომ მინდა თავისუფლად გელაპარაკო... ჩვენი ძველი მეგობრობის ხატობით... ღმერთო, რამდენი დრო გავიდა, აი, ისევ შევხვდით ერთმანეთს შორეულ გალაქტიკაში, დედამიწიდან მილიონობით კილომეტრს იქით - თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა გამომძიებელი, ედვარდ ედისონისკენ არც გაუხედავს, ისე მიაყარა სიტყვები.

- მითხარი, ედ, ამდენი შრომის, პროგრამის დაწერის, ახალი პლანეტის აღმოჩენის საზღვარზე იყო ჯეინი და უცებ გადაწყვიტა გაჩუმებულიყო, პროგრამის გადაწყობა დაიწყო, არც შეკრებებზე ჩნდებოდა, თითქოს ხელი აიღო განზრახვაზე, გამოეკვლია ახალი პლანეტა, არადა, ეს ხომ ასეთი საოცნებო იყო მისთვის... მითხარი რატომ? - გამომძიებლის ხმა მეგობრულად ჟღერდა კაპიტნისთვის. ედვარდი წელში გაიმართა, დაფიქრებული ღიმილი გამოეკვეთა სახეზე, პირდაპირ მიაჩერდა გამომძიებელს და ერთი ამოსუნთქვით მიაყარა: - ლევ, შენ ხომ იცი როგორი იყო ჯეინი - გაჩუმდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მე ვთხოვე.

- შენ თხოვე გაჩუმება და ოცნებაზე უარის თქმა? - გაკვირვება ვერ დამალა გამომძიებელმა.

- კი, ლევ. აბა როგორ მოვიქცეოდი... ის სამი დოქტორი, ვინც მასთან ერთად ახალი პლანეტის ათვისების გეგმაზე მუშაობდა, გაქრნენ. მოულოდნელად და სრულიად უკვალოდ. სახელმწიფომ კი მათი გაუჩინარება თვითმკვლევლობით ახსნა. თითქოს მათმა გონებამ ვერ

გაუძლო ახალი ალგორითმების შემუშავებას და ჭკუიდან გადავიდნენ. გესმის, ლევ, ეს რას ნიშნავდა? ვილაცას არ აწყობდა ახალი სამყაროს აღმოჩენა და ის დოქტორები უბრალოდ მოიშორეს. იგივე ბედი ელოდა ჯეინსაც! ამიტომ ვთხოვე, სანამ მას მისწვდებოდნენ, სასწრაფოდ დაგვეხია უკან. ჯეინი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას მიწევდა, ხომ იცი ის ჩემზე მეტად გაბედულია, მეტროპოლი და ზუსტად ველოდი მისგან წინააღმდეგობას, მაგრამ მეგონა დავითანხმე... მეგონა გადავარჩინე... თითქოს აიღო ხელი პლანეტის აღმოჩენაზე... მე მოვეშვი... თურმე წინ იყო მთელი გაურკვეველობა... კაპიტნის ხმას სასოწარკვეთა ემატებოდა, სკამიდან მოწყვეტით წამოდგა, მაგიდას მკაცრად ჩამოაყრდნო ხელები და უმისამართოდ გაიხედა.

- ლევ, რატომ არ უნდა არავის, ბოლოსდაბოლოს აღმოვაჩინოთ ეს პლანეტა, გავიგებთ ვინ არის ჩვენთან ერთად ამ გალაქტიკაში და მის მიღმა, რატომ არავის აწუხებს რა იქნება მერე?!

- დამშვიდდი, ედ - მეგობრულად მიაგება სიტყვები გამომძიებელმა. მე შენ მშვიდი მახსოვხარ და არ მინდა სხვანაირს გხედავდე. ჩვენი შეხვედრები გახსოვს? შენ და ჯეინი, მე და... მარი... წელან, ამდენი წლის მერე, იქ ოთახში შევხვდი სულ პირველად და არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა, როგორ მოვქცეულიყავი, ამიტომ ოფიციალურად ველაპარაკეთ ერთმანეთს - თავჩარგული მიეყრდნო კედელს გამომძიებელი...

კაპიტანი ოდნავ დამშვიდებული ჩანდა, უხმოდ მიუბრუნდა სავარძელს და მოხერხებულად მოკალათდა.

- ჯეინმა რაც შეძლო, მოითმინა, მაგრამ მთელი ეს დრო, ლევ, ჩვენ სიგნალებს ვიღებდით, ჯეინი მათ გაშიფრვაზე მუშაობდა, ჩვენ ერთად ვაკეთებდით ყველაფერს - ერთად ვემბდით, ვპოულობდით, გვიხაროდა და ვადგენდით გეგმებს. ჩემი ყველაზე დიდი დანაშული ამ ყველაფერში ისაა, რომ საწვავის მარაგის კონტროლი სხვას ვანდე, როცა ჯეინი დედამიწაზე ბრუნდებოდა იმის სათქმელად, რომ პროექტს აღარ განახორციელებს, რომ შეეშვა ახალ პლანეტაზე ოცნებას, ხომალდში საწვავის შემოწმება ასისტენტს ვანდე. არადა, პირადად უნდა შემემოწმებინა მარაგი. მე ისევ მჯერა, რომ ჯეინი სადღაც გზაშია, ყოველ წუთს ველი მის ხმას კოსმოსურ სიხშირეებში, თითქოს დამიკავშირდება და მეტყვის: საწვავი დამიმთავრდა, ედ. მოდი, მიშველე! რა აუტანელია ეს მოლოდინი.

- ედ, მე ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში! - როგორც იქნა, გამომძიებელმა ძალა მოიკრიბა და გადაწყვიტა მისი იქ ყოფნის ნამდვილი მიზეზი გაემხილა მეგობრისთვის. შენ დაურეგისტრირებელი მარშრუტი დაგვემე და ჯეინს კანონგარეშე ქმედების ჩადენაში დაეხმარე. ვიცი, რომ ის დედამიწაზე კი არ ბრუნდებოდა იმის სათქმელად, რომ გაჩერდა, არამედ ახალი პლანეტისკენ გაემართა და ამაში შენ დაეხმარე! მთავრობის აგენტებს თითქმის ყველა მტკიცებულება აქვთ ხელთ ამ ვერსიის გასამყარებლად. ამიტომ ხარ ეჭვმიტანილი და დიდი ალბათობით თვითმკვლელობის მუხლს მკვლელობად გადმოაკვალიფიცირებენ. მოემზადე ამისთვის. ედ, შენ საყვარელი ადამიანის მკვლელობისთვის გაგასამართლებენ! მეც ამის სათქმელად მომავლინეს შენთან...

ედვარდს თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ხელისგულები გაუოფლიანდა, სისხლი ჩანჩქერით მოაწყდა სხეულში. ღონემიხდილი მიესვენა სავარძელზე.

- ჯეინის გარეშე ცხოვრებამ ისედაც დაკარგი აზრი, ლევ.

- ერთადერთი კლონირების ამბავი მაეჭვებს - დაფიქრებული ჩანდა გამომძიებელი - ისეთი რა უნდა შემთხვეოდა ჯეინს, რომ სხეულის დასკანერება და კლონირება ვერ მოესწრო.

კლონის არარსებობა კი იმაზე მიუთითებს, რომ დიდი ალბათობით, ჯეინი ცოცხალია! ახლა მთავარია მანამდე მოვასწროთ მისი პოვნა, სანამ განაჩენი ძალაში შევა - აღელვებული ლევი ედისონის გარშემო ტრიალებდა და სამოქმედო გეგმის წარსადგენად ემზადებოდა.

- არ ვიცი რის იმედად, მაგრამ რატომღაც გვჯეროდა, რომ საიდუმლოდ ჩაივლიდა ეს მოგზაურობა. ასეც იყო ყველაფერი, ვიდრე წინა თვეს, ჯეინისგან ყოველგვარი სიგნალი დააკარგე და იძულებული გავხდი ცენტრისთვის მეცნობებინა - ედვარდი დამშვიდებული ჩანდა. თითქოს არაფერზე ფიქრობდა.

- ორი მუხლით დაგსჯიან, მეგობარო - ლევი ცდილობდა შეემზადებინა მოსალოდნელი საფრთხისთვის ედვარდი. სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება და მკვლელობა. იცი რა სასჯელია ამისთვის?

- ელექტროსკამი! - განაჩენივით ჟღერდა ედვარდის ხმა ოთახში.

ფიქრებიდან ხმოვანი შეტყობინების ჟღარუნა ხმამ გამომიყვანა. ისევ ის უცნობი იყო. ჩემი ყველა წიგნის პრეზენტაციას რომ ესწრებოდა და ყოველთვის ინკოგნიტოდ რჩებოდა. მწერდა საოცრად ბევრს და თავდაპირველად ეს მახარებდა, მაგრამ ბოლო დროებში მისმა მოწერილმა საშიში ხასიათი მიიღო. აშკარად ვერ აკმაყოფილებდა ჩემთან ვირტუალური ურთიერთობა და მის წერილებში დროდადრო უცნაურ ქვეტექსტებს ვკითხულობდი. ხმოვან შეტყობინებასთან ერთად, ორი მოზრდილი ქალაქი ამოვიდა ტექსტის წასაკითხი მოწყობილობიდან. ჩემი ბოლო წიგნის გმირების პროტოტიპები ეხატა - ჯეინი, მარი, ედისონი და ლევი. იქვე ხელით მიწერილი - საგანგებოდ და დახვეწილად გამოყვანილი ორად-ორი წინადადება ჩანდა: „შენც მალე მათ შეუერთდები. დღეს შვიდზე. ვარდების პარკთან, მესამე კილომეტრში, კაფე „როუზ გარდენსში“. შენი ედვარდი“.

ხანდახან როგორი რთულია იყო ცნობილი ადამიანი. ათასი საფიქრალი გამიჩნდა. ისიც ფაქტია, რომ მისი შეტყობინებები ბოლო დროს საკმაოდ გამომწვევი და დამაფიქრებელი გახდა. თავიდან ვფიქრობდი, პოლიცია ჩამერთო საქმეში, მაგრამ მივხვდი, გაწეილი ბიუროკრატია და სტანდარტული პროცედურები უამრავ დროს წაიღებდა, შედეგი კი არც არაფერი შეიძლებოდა დამდგარიყო. არადა მე ერთი სული მქონდა გამეცნო ეს ადამიანი, მისი არც სახელი ვიცოდი, არც სქესი და მაიდენტიფიცირებელი არანაირი მონაცემი არ გამაჩნდა. ამ ყველაფერთან ერთად, მე ვერ ვუკავშირდებოდი მას, მისამართის უკან დაბრუნების გრაფა, მუდმივად ცარიელი იყო და ეს ცალმხრივი კონტაქტი საინტერესოსთან ერთად, უკვე საშიშად მეჩვენებოდა. რატომ არ უნდოდა მე დავკავშირებოდი, იქნებ იმის გამო, რომ არ გამეშიფრა მისამართით? რა უცნაურია, სასამართლოზე ხშირად ექსპერტად გამოვდივარ, გაუხსნელ ან რთულად გასახსნელ დანაშაულებზე ვუწევ გამოძიებლებს რეკომენდაციებს და ის ვერ დამიდგენია, ვინაა ჩემი იდუმალი თაყვანისმცემელი. იქნებ იმიტომ, რომ დრო არ მაქვს ფიქრისთვის? - გამართლებას ვუძებნი ჩემს პასიურობას.

არადა, ამ შეხვედრაზეც დიდი ხანია ვფიქრობ.

ამასობაში მისამართი კიდევ ერთხელ გადავიკითხე, ჩანთას დაუფიქრებლად დავავლე ხელი, პალტო ხმაამოუღებლად მოვიცივი. ჩამწერი მოწყობილობა მჭიდროდ მივიმაგრე წელზე, ყოველი შემთხვევისთვის ქალაქზე დავეწერე დანიშნულების ადგილი და მაგიდის ქვედა

ნაწილს მივაკარი ფრთხილად. ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთხელაც ვერ დავბრუნდე სახლში, ამიტომაც თადარიგს ვიჭერ და ყოველი უცნაური ამბის დეტალებს მაგიდის ქვეშ, უსაფრთხო ადგილას ვტოვებ, შავი ყუთის ფუნქციით.

მიმაგრებული ფურცლის სიმყარეში რომ დავრწმუნდი, მხრებში გავიშალე, შემოსასვლელი დერეფნის სარკეში შევათვალიერე ჩემი თავი, ზღურბლზე წამით შევეყვინდი: იქნებ ბოლოჯერ გადიხარ ამ სახლიდან? - ვკითხე ჩემს თავს და გამეღიმა. ცუდს არაფერს მიგრძნობდა გული.

ზურგსუკან ძლიერად მოვიხურე კარები.

მანქანა ყოველი შემთხვევისთვის სკანერზე შევამოწმე და როცა კი მის უსაფრთხოებაში დავრწმუნდი, დავქოქე. ვზივარ საჭესთან და უამრავი ფიქრი მიტრიალებს თავში.

ვინ არის? რა უნდა? და ვცდილობ გავიხსენო როდის გამოჩნდა პირველად ჩემს ცხოვრებაში. ვერაფრით ვიხსენებ. ალბათ თავყვანისმცემლების რომელიმე ტალღას მოჰყვა - ვფიქრობ ჩემთვის და ჩემივე ფიქრების ლაბირინთში ვიხლართები. არაფერი მახსოვს. ვინ შეიძლება იყოს, ვერავის ვუკავშირებ. ბოლო დროებია ძალიან გააქტიურდა, თითქოს რაღაც ამბავი აჩქარებსო, დაჟინებით მთხოვს შეხვედრას.

საჭე თითქოს არ მემორჩილება. ისევ ჩემს თავზე ვფიქრობ. აი, ბავშვობაში მეგობრობის დღიური გქონიათ? იმ სტილში ვკონტაქტობ ახლა საკუთარ თავთან.

სახელი: ელაიზა.

გვარი: ემბერი.

ასაკი: 30 წლის.

უყვარს: წერა და თავისუფლება!

ვერ იტანს: სიცივეს, ხმაურს და სიბნელეს.

უხარია: ყოველი დღით ტკობობა.

საყვარელი გამოთქმა: ყველა ჩვენგანი ერთი მთლიანის რაღაც ნაწილია. ჩვენი ცხოვრება კი ამ მთლიანის შესავსებად დაუღალავი სწრაფვაა.

ნატრობს: ასე მგონია, ბევრი ამოუხსნელი რამ ხდება ჩემს თავს. თითქოს ერთხელ უკვე გამოვიარე ცხოვრება და ახლა ხელახლა დაბადებული ახალშობილივით ვაცეცებ თვალებს უცხო სამყაროში. ხშირად მიპყრობს ისეთი შეგრძნებები, თითქოს ორი ადამიანი ვარ და საკუთარ თავთან კონტაქტი მსიამოვნებს. ვიცი, სხვები ამას ჩემს პოეტურ ბუნებას მიაწერენ, მაგრამ მე ხომ ვიცი ზუსტად რა ხდება ჩემში და გაორება როგორ პიკს აღწევს. აი, ხდება ხოლმე, როცა თვალს დავხუჭავ, თითქოს ჩემი მეხსიერების ფსკერიდან რაღაც მოგონებები ითავისუფლებენო თავს, ისე ამოხეთქავს ხოლმე გამოუცნობი განცდები ტვინის ხვეულებიდან. ზოგჯერ ეს შეგრძნებები მაშინებს, ასე მგონია რაღაც გაურკვეველი ხდება ჩემს თავს და ერთხელაც მომიწევს ავხსნა ყველაფერი. ჰოდა, ვნატრობ იმას, დროულად გავიგო რა ხდება ჩემს თავს.

გარეგნულად მხიარული, საოცრად შრომისმოყვარე, კომუნიკაბელური, ღიმილიანი ვჩანვარ, მაგრამ მხოლოდ მე ვიცი რის ფასად ვაღწევ ამ გარეგნულ ეფექტს. ხშირად ისე ხდება, რომ ადამიანები, ეს სამყარო უბრალოდ ძალიან მღლის და ერთი სული მაქვს უკანმოუხედავად გავიქცე სხვა გალაქტიკაზე, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სადღაც დიდი ხანია მელიან უკვე, ჩემი ერთი ნაბიჯიც საკმარისია და იქ აღმოვჩნდები.

რა უცნაურია არა? მე, მსოფლიოში ცნობილი მწერალი ელაიზა ემბერი, ვზივარ ახლა ჩემს მანქანაში, ნერვიულად ვატრიალებ საჭეს და იმის ნაცვლად, რომ დავტკბე სამყაროთი, ჩემს სისუსტეებზე და კომპლექსებზე ვეწუწუნები საკუთარ თავს. იქნებ ეს ყველაფერი იმ უცნობი ადამიანის ასე დაჟინებულ გამოჩენას უკავშირდება? ამ თემაზე ფიქრი ყოველთვის მახნვეს. მაინც მგონია, რომელიმე თავზეხელაღებული გულშემატკივარია ჩემი, რომელმაც გადაწყვიტა მოიპოვოს პოპულარობა და ყველა ღონეს ხმარობს, მიმიტყუოს თავის მოედანზე. გასაგებია ეს ყველაფერი, მაგრამ რისთვის? ყველა ამდენი ხანი და ასე მოთმინებით არ დაელოდებოდა ჩემს რეაქციებს. სახლის მისამართიც აქვს, ყოველთვის იცის, სად იმართება წიგნის პრეზენტაციები, თუ რამის დაშავება უნდა, აქამდე მოიმოქმედებდა რამეს - ვცდილობ თავი დავიმშვიდო და ხელში ავიყვანო.

გარშემო ვიყურები. მანქანების ნაკადი არ წყდება. მე ნელი სვლით მივუყვები ვარდების პარკისკენ გზას. ზუსტად ათ წუთში მესამე კილომეტრზე გადავალ. ნეტავ რა მელოდება წინ? ვინ მელოდება?

მირჩევნია ბავშვობის დღიურს მივუბრუნდე.

პროფესია: აი, ეგ შეკითხვა არ მიყვარს, მაგრამ მაინც უნდა ვუპასუხო. ვწერ წიგნებს. ახლა ჩემს ბოლო რომანზე ვმუშაობ. „კლანეტა 84“ ჰქვია და ვწერ ჯეინის თავგადასავალზე. რომანი-მეთქი კი ვამბობ, მაგრამ ასე მგონია ამ წიგნში საკუთარ თავს აღვწერ. თითქოს მთელი ცხოვრება ვფიქრობდი ამ გოგონაზე და ახლა უბრალოდ ხორცს ვასხამ. მიყვარს, როგორ ვპერწავ მის ხასიათს. როგორ აღვწერ მისი და ედვარდ ედისონის საოცარ სასიყვარულო ამბავს. ვფიქრობ, როგორ შეიძლება განვავითარო მოვლენები და გონებაში ათასგვარი ვარიანტიდან საუკეთესოს ვირჩევ.

საოცრად მსიამოვნებს ამ წიგნზე ფიქრი. თითქოს მართლა საკუთარი თავი ვიპოვე და შეუჩერებლად ვწერ და ვწერ! ამასწინათ, ერთ შეხვედრაზე, რომელიღაც მომხსენებელმა ასე დაახასიათა ჩემი შემოქმედება: ელაიზა ისე წერს, გეგონება მისი ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, არამედ თვითონ გამოუვლია ეს ყველაფერი და უბრალოდ ხატოვნად გადმოსცემსო. მაშინ კი ბევრი ვიხალისე გამომსვლელის ჩახლართულ აკადემიურობაზე, მაგრამ მერე რომ დავუკვირდი მართლა ასეა. ვფიქრობ, ვიზიარებ და მერე ვწერ. ჩემი ყველა წიგნი ამ ფიქრების ანარეკლია. მაგრამ აი, ჯეინი... ჯეინით უბრალოდ შეპყრობილი ვარ. ჩემს საგამომცემლო აგენტსაც ზუსტად ასე მივწერე.

ღმერთო ჩემო! ენდი! ხომ შეიძლება უცნობი ადამიანი ენდი იყოს?! პირველად ენდის გავუმხილე წიგნის იდეა! ამაზე როგორ არ ვიფიქრე! ფიქრებიდან უცებ გამოვერკვიე და ვცდილობ, ენდისთან ამ თემაზე საუბრის ყველა დეტალი გავიხსენო.

როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? საიდან გაჩნდა ჯეინზე წიგნის დაწერის იდეა? ნერვიულობის ფონზე გონება დამეხშო და ვერაფრით ვიხსენებ. დაძაბულობა თავისას შვება მაინც... ენდისთან დალაპარაკების მომენტი გაიხსენე! - მკაცრად ვუბრძანებ ტვინს. უარესად ვიბნევი, რაში დასჭირდა ენდის ჩემთან ასე თამაში? იქნებ რამე მარკეტინგული გათვლა აქვს და წიგნის გამოცემას ამ უცნაური ხერხით აანონსებს? რას არ ვფიქრობ! საით არ მივდივარ გონებით!

თუ ასეა, ენდი უბრალოდ ვერ გადამირჩება! არასოდეს დამჭირვებია მკითხველის ყურადღება ასეთი ხერხებით მომეპოვებინა და ეს უმსგავსო თამაში არანაირად არ შეეფერება

ჩემს პიროვნებას. და ეს ყველაზე კარგად ზუსტად რომ ენდომ უნდა იცოდეს, წლებია უკვე ჩემს აგენტად მუშაობს.

თანაც, გულის სიღრმეში ასე ბანალური დასასრულიც არ მინდა! ვერაფერს ვუგებ საკუთარ თავს. თან დავიღალე შიშში ცხოვრებით და თურმე ბანალური დასასრულიც არ მინდა!

კარგი, განვიხილავ ისევ ენდის. მაგრამ გონება ვერაფრით უკავშირებს ენდის ამ ამბავს. შეგრძნებები უფრო დიდს მკარნახობენ, უფრო მოულოდნელს და ყოვლისმომცველს.

თითქოს მე დამცინისო, ეს გზაც არ მოკლდება. ან მე მივდივარ ძალიან ნელა, რომ დრო გაიწელოს. შვიდ საათამდე მანც არ მოვა. ან იქნება მოვა, დამაკვირდება და მერე საერთოდ გადაიფიქროს ჩემთან შეხვედრა?

მანქანები ისევ განუწყვეტლივ მოძრაობენ ჩემ გარშემო. ასე მგონია, დღეს მოუნდა ყველას გასეირნება, ხან რიგში ვდგავარ გასასვლელებთან, ხან შუქნიშანზე არ ინთება მწვანე ფერი.

მოდით, ისევ წიგნზე ვიფიქრებ. ვერ ვხვდები, რა შუაში იყო ჩემი წიგნის გმირები ამ უცნობის მიერ მოწერილ წერილთან. მოკლედ, რაც ის გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, მშვიდად ყოფნას დავემშვიდობე. ამრევს, მერე გაქრება, მერე ისევ გამოჩნდება. ვერ ვიგებ მე მემალება, თუ არ უნდა უბრალოდ ვინმემ მიაგნოს მის კვალს. ერთი რამ ცხადია, უკვე დავიღალე ამ ადამიანზე ფიქრით. არადა, საფიქრალი ისედაც არ მაკლია. ისევ უნდა მივუბრუნდე ჩემს რომანს. საინტერესო მომენტში რომ გავწყვიტე და ახლა ამ უცნობისგან გაწყვეტილი მუხების მოლოდინში ვარ.

და მაინც, რატომ ჩემი წიგნის გმირები? ვერაფრით ვხვდები.

ისევ იმ აზრს ვუტრიალებ, რომ ბოლო ერთი თვეა, რაც გამომცემლობამ დააანონსა წიგნის შინაარსი. უცნობის გააქტიურებაც ამ დროიდან იწყება. მოიცა, ელაიზა! ნუთუ, რამე კავშირი არსებობს ამ ორ მოვლენას შორის?! ამაზე რატომ არ ვიფიქრე აქამდე? იქნებ წიგნის შინაარსი რამეს ახსენებს უცნობს? ან რამის თქმა უნდა ამ გმირების საშუალებით? იქნებ უბრალოდ სუსტი კავშირია დაანონსებასა და უცნობს შორის და ამ ვერსიაზე გამოდევნება არ მიღირს? - ვორჭოვობ და უფრო ვიბლანდები კითხვებში. თუმცა სხვა რა შეიძლება გავაკეთო? იქნებ მართლა მიმემართა პოლიციისთვის? მაგრამ რომ დაფრთხეს? ჰოდა, რა ვუყო ჩემს დაუოკებელ სურვილს, გავიგო ვინ იმალება და რატომ უცნობი თაყვანისმცემლის მიღმა?

გზატკეცილისკენ მივდივარ. ვცდილობ, საჭე არ გამექცეს და ნერვიულობაშეპარულ ჩემს გონებას დროდადრო ვაფხიზლებ.

ახლალა შევამჩნიე, როგორ აყვავებულან გზებზე შეფენილი მიმოზები. ჩემი ფიქრები ხომ ბოლო დროებია, კოსმოსურ ხომალდზე ჯეინის და ედვარდის საიდუმლო ამბავს დასტრიალებს და გადამავიწყდა როგორია ჩვენი გარემო დედამიწაზე. აჰ, რა ტკბილია ჩემს წიგნზე ფიქრი... მაგრამ ამ სილამაზესაც არაფერი შეეძრება. იქნებ ცოტა ხნით მაინც მოვდუნდე და ყურადღება გადავიტანო.

დროდადრო საათს დავყურებ. შვიდს ათი წუთი აკლია. გადამწყვეტი დრო დგება და რაღაცნაირად მინდა მაინც დავიძვრიხო თავი. ჩამწერ მოწყობილობას ხელით ვისინჯავ. სულ ორი წერტილი შევარჩიე. საყურეში ჩავიმარგე და ოქროსფერ კულონში. ბევრ სამკაულს ისედაც არ ვატარებ და არ მინდა უცნობს რამე განსაკუთრებულად მოხვდეს თვალში. ვცდილობ ბუნებრივი ვიყო. ხმასაც ვუმოწმებ. ყველაფერი გამართულად მუშაობს. სახლის სახურავზე დამონტაჟებული კამერის ჩანაწერებასც ვუსმენ. ჩემი სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ესე იგი

სახლიდან ჩემი გამოტყუების იდეაც ტყუილი აღმოჩნდა. სხვა ვერსია არა მაქვს ფაქტობრივად და ისევ იმ აზრს ვუბრუნდები, რომ საიდუმლოდ უნდა შეხვედრა უცნობს ჩემთან, მყუდროდ და უხმაუროდ. პირისპირ. და დიდი ალბათობით ყოველგვარი ჩამწერი მოწყობილობის გარეშე. თუმცა ახლა უამისოდ თავს დაცულად ვერ ვიგრძნობ.

მესამე კილომეტრის გზაც ჩემი მოლოდინივით იწურება. ვცდილობ ადვილად რა ადგილას შეიძლება შევხვდეთ მე და ის უცნობი. გარშემო ტრიალი მინდორია. ჩრდილო დასავლეთით პატარა კაფე დგას. მყუდრო და არახალხმრავალი. ელექტრონულ ტაბლოზე ადამიანების რაოდენობას ვამოწმებ შიგნით. სულ ათი მაგიდაა დაკავებული. ერთ ადამიანს ვეძებ რადარებში, მაგრამ ამაოდ. ყველა მაგიდაზე ორი ადამიანი მაინც არის მოკალათებული. უცებ ჯგუფზე ვფიქრობ. ხომ შეიძლება არა ერთი, არამედ ორი ადამიანი იყოს ჩემთან შესახვედრად მოსული? ვცდილობ, ისევ გონების კარნახს მივყვე, ის კი ერთ ადამიანზეა კონცენტრირებული.

ჩემ გარდა არავინ მინახავს ასე ენდობოდეს საკუთარ შეგრძნებებს, ინტუიციას, გონებას. ალბათ იმიტომ, რომ არასდროს ვცდები. ყოველი მხრიდან ვამოწმებ სიტუაციას, ლოგიკურად ვფიქრობ და მერე შედეგებიც ადვილი გამოსაცნობია.

ვარდების ბაღის პარკინგზე ფრთხილად შევდივარ. უკანასკნელ ვერსიად დანაღმული ველი მესახება. ამიტომ, ვცდილობ ისეთ ადგილას მივაშურო, სადაც ბევრი მანქანა დგას, იმ იმედით, რომ უცნობს არ ექნება სურვილი, გარეშე ადამიანებს რამე ზიანი მიაყენოს.

ისიც მშვენივრად ვიცი, რომ ყველა დეტალი გათვლილი და წინასწარ მომზადებული აქვს. და ახლა მე რაზეც ვფიქრობ, ყველაფერი დიდი ხნის გაანალიზებულია.

სხვა რა დამრჩენია და უცნობის მითითებით ჩრდილო-დასავლეთის კაფეში შესასვლელად ვემზადები.

„როუზ გარდენსი“ უწინდებურად მყუდრო და ტკბილი სურნელით სავსეა. ზღურბლთან ვდგავარ და ველოდები როდის მომადებს ვინმე იარაღს, ამიყვანს მძევლად, მერე არ ვიცი, ან გამოსასყიდს მოითხოვს ჩემს სანაცვლოდ ან ადგილზე მომკლავს და შევა ისტორიაში ამ მოქმედებით. წარმოვიდგენ როგორ იფიქრებენ თაყვანისმცემლები. ზოგიც დაუნდობლად გამაკრიტიკებს და არჩევანს დამიწუნებენ - აქაოდა, რატომ გადაწყვიტა თვითონ გამოერკვია ვინ იყო ის იდუმალი ადამიანი და რატომ არ დაიხმარაო პოლიცია. გამოჩნდებიან ადამიანებიც, ჩემი სიკვდილი რომ გულწრფელად დაასევდიანებს.

წარმოვიდგენიათ, რამდენ რამეზე შეიძლება იფიქრო თურმე კარის ზღურბლზე წამით შეყოვნებულმა? და საკუთარი ცხოვრების გაგრძელების რამდენნაირი გზა დასახო? მე არასოდეს მიფიქრია აქამდე, თუმცა დღეიდან ვრწმუნდები, რომ ეს შესაძლებელია.

ფეხს ვითრევ, მაგრამ უნდა შევიდე შიგნით. სხვა არჩევანი არ მაქვს. გარშემო კიდევ ერთხელ ვიყურები, არაფერი უჩვეულო და განსაკუთრებული არ ხდება. არც მიწიდან მოსჩანს რამე სახიფათო, არც ციდან მიმზერს ამომცნობი რადარები. გულისცემა მიხშირდება. უკანასკნელ ძალებს ვიკრებ და სამის თვლაზე კარებს ვაღებ.

კაფეში ჩემს შესვლას ვერავინ გრძნობს. უცებ დაფიქრდი, სიზმარში ხომ არ ვარ-მეთქი და ჩამეღიმა. გაღიმებამ ცოტა შვება მომგვარა, მაგრამ ვგრძნობ, დაჭიმული მხრებით როგორ ვდგავარ ოთახის შუაგულში და ინტერესით სავსე თვალებს ვაპყრობ გარემოს.

- ელაიზა, თქვენი მაგიდა აქ გელოდებათ. - მასპინძელი გოგონას სანდომიან ხმას ვარჩევ ამ სიწყინარეში. ხელში ჩემი ფოტო უჭირავს და დასაზუსტებლად სასხვათაშორისოდ მიყურებს.

- აქეთ მობრძანდით. მიმეორებს და ჩემი მაგიდისკენ მიმიძღვის.

ვცდილობ დამაბულობა არ შევიძინო, არადა, ერთი სული მაქვს ვკითხო გოგონას საიდან აქვს ჩემი ფოტო, ვინ შეუკვეთა მაგიდა, რა მელოდება, ხომ მშვიდობაა ჩემს თავს. მაგრამ ვცდილობ, ინტერესი ჩემში მოვიმწყვდიო და მოვლენების განვითარებას დაველოდო. ჩემი მაგიდა თითქოს საგანგებოდაა მორთული და შუაგულში მიმოზების მთელი თაიგულია დალაგებული. ასე მგონია, დაბადებიან მიყვარს ამ ყვავილის მომწკლარტო სუნი და გარდამავალი ფერები და მიკვირს, უცნობმა საიდან გამოიცნო ჩემი სიყვარული მიმოზების მიმართ? - ალბათ რომელიმე ინტერვიუში თუ აღვნიშნე ეს ამბავი.

როგორც იქნა, ჩამოვჯექი. გოგონას თბილ ღიმღს ჩემი მივაგებე და მივხდი, როგორ გამეფანტა მხრებში ჩალაგებული დაჭიმულობა. ფეხები დიაგონალურად მივმართე მაგიდის კუთხისკენ და სკამის საზურგეს ნელ-ნელა მივეყრდენი. სასიამოვნო მოთენთილობამ მომიცვა. წამით მოვეშვი კიდე. თვალეები მივლოლე. ახლა გამახსენდა, რომ მთელი კვირაა კარგად არ მძინებია. ოჰ, როგორ ჩავითბობდი ახლა ყელს დარიჩინიანი ჩაით და დავიძინებდი... წამით უცებ გავითიშე. და ბურანიდან სკამის ნაჩქარევად გამოწევის ხმამ გამომიყვანა.

- კარლ! შენ?! - ისე შევკვივლე, გარშემო ყველა მე მომჩერებია. კარლი ჩემი დიდი, ძალიან დიდი ხნის ნაცნობია, რომელიც მაშინ გავიცანი... როდის გავიცანი კარლი? ბოლო დროებში ყველაფერი მავიწყდება რატომღაც, აი, ვერც ახლა ვიხსენებ როდის გავიცანი კარლი. მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს. აქ რას აკეთებს უნდა გავარკვიო.

- ელ, მე ვარ. რა მოგივიდა? - დაბნეული მპასუხობს და უხერხულად უღიმის კაფეში მსხდომთ, პირდაღებული რომ მომჩერებია. წამებში ამყავს ჩემი თავი ხელში. ისე გამოფხიზლდი, თითქოს ცივი შხაპი გადამასხეს. ვერაფერს ვხვდები. ვერც კარლი ხვდება ვერაფერს და მხრებზე შემოსხმულ ლაბადას იძრობს ნერვიულად.

- ელ, რა მოგივიდა. მე ვარ. არ მითხრა, რომ დაგავიწყდი.

- ესე იგი შენ?... მინდა წამის მესაღებებში გავაანალიზო სიტუაცია. მაგრამ რაღაც ძალა მკარნახობს, რომ ჯობია არაფერი ვთქვა. რომ კარლი არაა ის, ვინც აქ უნდა ყოფილიყო. კარლის ახსნა მოიცდის. ახლა ის უნდა ვნახო.

გარშემო აღელვებული ვატარებ თვალს. კარლიც იმავეს აკეთებს.

- ელ, ვინმეს ელოდები? ხელი შეგიშალე? - მისი პასუხის თავი არ მაქვს. ვაცეცებ თვალეებს. ფანჯარაში ვიხედები. გარშემომყოფებთან ახლოს მივდივარ, სახეში ვაჩერდები. ალბათ გიჟს ვგავარ, მაგიდებს შორის რომ უაზროდ დარბის.

ფანჯრის კუთხეში, მანქანების შორიახლოს საშუალოზე მაღალი მამაკაცის სილუეტს ვხედავ. კეპი საგანგებოდ ჩამოუფხატია სახეზე! ის არის! გარეთ უნდა გამოვიქცე. მაგიდებიდან უსწორმასწოროდ გამოშვებულ სკამებს ვედები. ვერც ვუბოდიშებ, ისე მოვქრევარ გარეთ. უნდა ვნახო! უნდა მნახოს. ასე არ შეიძლება. გარეთ გამოვრბივარ. მამაკაცი არასადაა. გონებაში ვითვლი მანქანების რაოდენობას. ყველა ადგილზეა. ის რომელი მანქანით იყო ნეტავ? იქნებ გზის მეორე მხარეს იყო გაჩერებული? გადავრბივარ. იქაც სიცარიელე მხვდება. ასე არ შეიძლება! - ვკვივი ბოლო ხმაზე. ჩემ გვერდით კარლი ისევ ჩნდება.

ასე არ შეიძლება! კარლ! კარლ! - ვუყვირი გამწარებული. როგორ ჩამიშალე გეგმები! - ვხვდები, რომ ეს არ უნდა მეთქვა. ღრმად ვსუნთქავ. ვცდილობ გონს მოვეგო. კარლს ჩემი აფორიაქებული სხეული თავისკენ მიუზიდავს და ცდილობს დამაწყნაროს. უნდა გავჩუმდე. კარლს არ ვენდობი. ვერ, უფრო სწორად. ვცდილობ მისი სამომავლო შეკითხვებიდან თავი დავიძვრინო.

დადლილობას ვიმიზეზებ. კარლს კაფეში შევყავარ.

- ელ, რა მოხდა არ მეტყვი? - მეკითხება ჯერ კიდევ გაურკვეველობაში მყოფი.

- არ მინდა ამაზე საუბარი, კარლ.

- მოდი, ჩაი დავლიოთ, დაწყნარდი და როგორც გენებოს, ისე მოვიქცეთ. - დამთმობი და თავისებურად თბილია ის. მაინც ვერ ვხვდები, რატომ არ ვენდობი კარლს. ისევ ჩემი ქვეცნობიერი მამარაგებს ამ ეჭვებით. ისევ ჩემი შეგრძნებები მკარნახობენ, რომ რაღაც რიგზე ვერაა.

- კარლ! აქ საიდან გაჩნდი? - მგონია კარლის შეკითხვებს შეტევით თუ ავიცილებ, თან მართლა მაინტერესებს ეს უბრალო დამთხვევა თუ მართლა რამე ხდება?

- კიდევ ორი გვამი ვიპოვეთ, ელ. ისევ გვჭირდება შენი დახმარება. სახლში მოგაკითხე. იქ არ დამხვდი, მერე კი რადარებმა ამ ადგილას დააფიქსირა შენი მანქანა და სასწრაფოდ აქეთ გამოვემართე. და როგორც ჩანს, ცუდ დროს მოვედი - ცდილობს რამე გამომტყუოს.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა გამომძიებაზე ფიქრის არც თავი მაქვს და არც სურვილი, ვფიქრობ, ამ თემაზე საუბრით იქნებ გადავავიწყო ჩემი აქ ყოფის მიზეზი კარლს. უფრო სწორად, იქნებ მიხვდეს, რომ მეტი არ ჩამეძიოს, თორემ კარლი კარლია, ვიცი. უთქმელადაც ხვდება ყველაფერს.

- სქესი? - ვეკითხები.

- ზუსტად დღის ბოლოს დავადგენთ სქესს და ასაკს. გარეგნული დათვალიერებით ოც წლამდე გოგონები არიან.

- იმავე მდგომარეობაში? - უხალისოდ ვეკითხები და ვცდილობ ფანჯრისკენ გავაპარო თვალი, იქნებ ისევ გამოჩნდეს უცნობი.

კარლს ჩემი მზერა შეუმჩნეველი არ რჩება. თან მიყვება ამბავს და თან ფანჯარაში იყურება ჩემთან ერთად:

- იმავე მდგომარეობაში, ელ. თეთრი ზეწარი აქვთ შემოხვეული და ორმაგი ფიცრებით შეკრულ ყუთში არიან მოთავსებული.

- და კედელშია ეს ყუთებიც ჩატანებული - უფრო დასკვნას ჰგავს ჩემი სიტყვები. კარლს არ ვუყურებ, უკვე არც მერიდება მისი. თამამად ვიყურები ფანჯარაში. ვგრძნობ, დასტურის ნიშნად როგორ მიქნევს თავს.

- რატომ მე?

- ბატონო?

- რატომ მე, კარლ? შენი უფროსი რატომ მირჩევს ყოველთვის მე, როცა სირთულის წინაშე დგას?

- შენ განსაკუთრებული ხარ და იმიტომ - მპასუხობს კარლი. თითქოს დაიზებპირა ეს ფრაზა.

- მოგზავნილი მგონიხარ - მინდა მოულოდნელობის ეფექტით თავბრუდახვეულმა გაუცხრილავად გადმომილაგოს თავისი მიზნები.

ნერვიულად გადაყლაპა ნერწყვი.

- ელ, ძვირფასო. ყველაფერი ისე კი არაა, როგორც შენს წიგნებში აღწერ ხოლმე. ეს რეალური ცხოვრებაა, აქ მარტივად ხდება ყველაფერი.

- და მაინც, რატომ მე?

- არ ვიცი - ოდნავ გაბრაზებული ტონით მესაუბრება. აი, არ ვიცი, როგორ უკავშირებ ერთმანეთს მოვლენებს, რანაირად აწყობ ამ მოვლენების ჯაჭვს, მაგრამ შენი დახმარებით ნებისმიერ საქმეს ვხსნით. აი, ამიტომაც გირჩევს ჩემი უფროსი. რა არის ამაში გაუგებარი? განსაკუთრებული ხარ.

- ოჰ, კარლ. არ გინდა ეგეთები - ვეუბნები და ვატყობ, როგორ მალამოსავით მედება გულზე ათასჯერ მოსმენილი შეფასება. ვეშვები. როგორც ჩანს, უნდა შევეგუო დღევანდელ ჩავარდნას. არადა, მაინტერესებს კარლი რამე შუაშია თუ არა? იქნებ უბრალოდ ჩემი დაკვირვება უნდოდა? იქნებ... იქნებ... კითხვები და არანაირი პასუხი. ლოდინის მეტი რა დამრჩენია. ალბათ ჯობია, კარლის შემოთავაზებას დავთანხმდე და სასამართლოს ექსპერტად ჩავერთო ამ საქმეში, მით უმეტეს, როცა ერთი წლის წინ ზუსტად იმავე მდგომარეობაში აღმოჩენილ გვამებს ერთად ვიკვლევდით, ახლა საქმეში მონაწილეობაზე უარს ისედაც ვერ ვიტყვი. გონება კი მკარნახობს, რომ ამ ორ საქმეს შორის კავშირი არსებობს.

უცნობზე ფიქრების გასაფანტად უკეთეს მდგომარეობას ვერც ვინატრებდი.

თეთრ ზეწარში მჭიდროდ გახვეული ორი გვამი პროზექტურის გაცრეცილ ოთახში გვერდიგვერდ ალაგია.

თან კარლი მახლავს პლანშეტით ხელში. ყველა ჩემს სიტყვას იწერს დეტალურად. თან თვალს არ მაშორებს. გეგონება არაფერი გამორჩესო, რასაც მე ვიტყვი.

- ზეწარი თეთრია, დიდი ალბათობით საგანგებოდ შეკერილი, სუფთა და უხარვეზო. მხოლოდ დროის გასვლის და ცემენტის კვალი ეტყობა. გვამებიც საგულდაგულოდ არიან გახვეულები. გამოკვეთილია თავის ნაწილი, წელის, ფეხების. ყელთან და კოჭთან წვრილი თოკით არიან გადაკრული. თითქოს ვიღაცას ემინოდა ზეწარი არ გადახდოდათ მიცვალებულებს.

- კარლ, ჩაიწერე. გარეგნული დათვალიერებით გამოიკვეთა ის, რომ ორივე მსხვერპლთან დამნაშავეს დიდი ემოციური კავშირი ჰქონდა, ამას მოწმობს აკურატულად მათი გახვევა თეთრ ზეწარებში და წვრილი თოკით გადანასკვა. წინა ორიც ამ მდგომარეობაში აღმოაჩინეს?

- კი, ელ, იგივე ხელწერაა, იგივე ზეწარები, თოკებიც იგივე.

- გასაგებია. მოდი გავაგრძელოთ. უნდა ჩავატაროთ ზეწარების და თოკების ექსპერტიზა, რა მასალითაა დამზადებული, რამე ნაქარგი არის თუ არა დატანილი, განსაკუთრებული ქსოვილი ხომ არაა? მოკლედ, ისეთი მონაცემი გვჭირდება, რაც რამის იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს.

ჩემს მითითებებს კარლთან ერთად, სიფრთხილით ინიშნავს ექსპერტის დამხმარე ახალგაზრდა გოგონა და ჩემს ყოველ სიტყვას გაფაციცებით ადევნებს თვალყურს.

- ცემენტის მახასიათებლების შესწავლა დასრულებულა - მეილის წკარუნა ხმამ კარლი წამით მოწყვიტა ჩემს სახეს, პლანშეტში მონაცემები გახსნა და შინაარსის კითხვა დაიწყო: ცემენტის შემადგენლობაში აღმოაჩინეს B კატეგორიის მასალების ნიმუშები. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემადგენლობით ათი წლის წინ აშენებდნენ სახლებს. სავარაუდოდ მსხვერპლების გარდაცვალების დრო ვიცით.

- მნიშვნელოვანი დეტალია დაზუსტებული. ყოჩაღ, კარლ - ვიგრძენი, ჩემს შექებაზე როგორ წამოწითლდა.

ვერაფრით ვიგებ კარლის პიროვნებას. ხან მართლა მოგზავნილი აგენტი მგონია, მაგრამ ვერაფრით ვხსნი ვისგან შეიძლება იყოს მოგზავნილი, ხან მიაბიტი ბავშვი მგონია, რომელსაც ჩემი თავი ჩააბარეს მოსავლელად და რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს ცივი ნიავი არ მომაკაროს. ხანდახან კი ცივისსხლიანი მკვლელი მგონია და ამ მიზეზით არასოდეს დავრჩენილვარ მასთან მარტო სახლში. არც ჩემთან მოპატიჟების სურვილი გამჩენია. ყოველი ჩვენი საუბარი შეეხება მხოლოდ საქმეს და გამოძიებას.

გამოძიებაში როდიდან ჩავერთე? ერთხელ შემთხვევით ახსენა თავის უფროსთან როგორი განსაკუთრებული გონება მაქვს და ჩემთვის ამოუხსნელი არაფერი არსებობს, იმ დღიდან მოყოლებული ყველა რთულად გამოსაძიებელ საქმეში, რომელიც ჩვენს ქალაქში ხდება, მე მრთავენ. სიმართლე გითხრათ, ვერაფრით ვხვდები რა არის ასეთი განსაკუთრებული ჩემში, უბრალოდ კარგად აზროვნება შემიძლია და სულ ესაა, მაგრამ თუ ამ დამოკიდებულებით დამნაშავეების გამოვლენას ხელს შევუწყობ, მიხარია კიდევ. მაგრამ არის ერთი მაგრამ... ხშირად მგონია, რომ კარლისთვის ჩემი ამ საქმეებში ჩართვა, უბრალოდ შირმაა, მას ჩემთან უნდა დაახლოვება და სხვა რომ ვერაფერი გზა გამონახა, ასე ცდილობს მუდმივად ვყავდე მხედველობის არეში. აბა რითი შეიძლება ავხსნა, რომ გამოძიების დასაწყისიდანვე, თითქოს ამ მომენტს ელოდებო, მაშინვე მოდის ხოლმე ჩემთან და მრთავს საქმეში, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. და ყოველთვის იცის სად ვარ. ეს მაეჭვებს.

კარგი, დავუშვათ კარლი მოგზავნილია და ამ საქმეებში მხოლოდ იმიტომ მრთავს, რომ უნდა ჩემთან სიახლოვე, დავუშვათ მართლა ასეა. მაშინ ისმის კითხვა, ვის ინტერესებშია ეს ყველაფერი? ვის აინტერესებს ჩემზე რაიმე ინფორმაცია? აი, აქ უკვე ჩიხში შევდივარ და ვცდილობ მივანებო თავი ეჭვებს. საფიქრალი ისედაც თავზე საყრელად მაქვს. ჰოდა, საქმეების გახსნა რომ ისედაც საინტერესოდ მეჩვენება, ვცდილობ მთელი გულით და გონებით ჩავერთო საიდუმლოს ამოსახსნელად.

ახლაც ზუსტად ამიტომ ვარ ამ ოთახში.

- კოლეგებო, მოგესალმებით! - ომახიანი მისალმებით მთავარი ექსპერტი შემოგვიერთდა.

- წინა საქმესთან კავშირის კვალს ვხედავ ამ ყველაფერში, დარწმუნებული ტონი ჰქონდა მას. აბსოლუტურად იდენტური ქსოვილია გამოყენებული. ისეთი, როგორიც წინა ორი გვამის შემთხვევაში. იგივე თოკი, იგივე ხელწერა. და მაქსიმალური სიზუსტით შემიძლია გითხრათ, რა დაგვხვდება შიგნით: გოგონები, რომელთა ასაკი 15-დან 20 წლამდე იმერყევენ, გრძელი თმებით, მაგრამ სრულიად განსხვავებული გარეგნობით.

დაფიქრებული ვუსმენ. კარლი და თანაშემწე გოგონაც შეფიქრიანებული ჩანან.

ექსპერტი სპეციალური მკვრატლით ჭრის თოკებს და გამჭვირვალე პარკში ათავსებს შემდგომი ექსპერტიზისთვის.

სუნთქვაშეკრულები ვუყურებთ, რას დავინახავთ ზეწარს ქვემოთ.

პირველი ორი გვამი ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მიტოვებულ სახლში აღმოაჩინეს. ორივე მსგავს კონდიციაში, ზეწრებში გულმოდგინედ გახვეული ორი მოზარდი გოგონა.

ერთი ქერა იყო, მხრებზე ბლომად გადმოსული თმები ჰქონდა. მოგრძო სახე, მეორეს ასევე გრძელი თმა, თუმცა მუქი ფერის, მრგვალი სახის ნაკვთები. გოგონები სიმაღლითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მაგრამ საერთო რამ აერთიანებდათ - ორივეს ერთი მკვლეელი ჰყავდა. მაშინ ეს საქმე თაროზე შემოდეს, რადგან დაკარგული ადამიანების სიაში არც ერთი გოგონა რეგისტრირებული არ იყო და არც სხვა ვინმე გამოხმაურებია განცხადებას მათ შესახებ.

მაგრამ ახლა... კიდევ ორი მოზარდი, ეს უკვე სერიულ მკვლელობებს ჰყავდა.

ამასობაში ექსპერტს ორივე მათგანისთვის ზეწარი ფრთხილად შემოეცალა. ჩვენს წინ დაახლოებით ათი წლის წინ გარდაცვლილი გოგონების გვამები ელაგა.

სხვადასხვა ფერის თმებით. სხვადასხვა აღნაგობის.

- მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს მსხვერპლები ვიღაცის სუროგატები იყვნენ. დამნაშავე მათ არჩევდა, თითქოს უნდოდა ვიღაცისთვის მიემსგავსებინა. ჩემივე ლოგიკამ დამაფიქრა. კარლიც სანდომიანად მიყურებდა.

- აი, ისე ჩანს, თითქოს ვიღაც ეძებდა ვიღაცის იდეალს და ყოველ ჯერზე ეგონა, რომ მას მიაგნო, მაგრამ როგორც კი ხვდებოდა, რომ ეს იდეალისგან შორს იყო, კლავდა.

- რა შემთხვევაში შეიძლებოდა დამნაშავეს ეძებნა ვიღაცის სუროგატი? - დამისვა შეკითხვა თანაშემწემ.

- მაგალითად, დედის ან საყვარელი ადამიანის სუროგატი შეიძლება შეარჩიოს ადამიანმა.

- დედის ვერ იქნებოდა, რადგან ეს გოგონები საკმაოდ პატარები არიან ამისთვის - საუბარში კარლი ჩაერთო.

- ჰმ, მართალი ხარ, კარლ. დედის სუროგატი გამოვრიცხოთ.

- იქნებ ბიჭი ეძებდა იდეალურ შეყვარებულს? და როცა ვერ უკავშირდებდა ამ გოგონებს მას, იშორებდა თავიდან? - დაფიქრებული ჩანდა ექსპერტიც.

- შესაძლებელია, თუმცა გოგონების ასაკში მამაკაცები იმდენად მოწიფულები არ არიან, რომ ასე დეტალურად, მაქსიმალური სიზუსტით იმოქმედონ. დააკვირდით, თოკებიც კი იდეალურად ზუსტადაა შეკრული ყველა წერტილში - დასაზუსტებლად წინა შემთხვევის ფოტოები გავხსენი პლანშეტში.

- ერთი ერთში ემთხვევა. იგივე ნასკვები, იმავე ადგილებში. ამას მხოლოდ ზრდასრული თუ გააკეთებდა.

- მგონი დროა, შევაჯამოთ მონაცემები - კარლს უნდოდა თავი მოეყარა ჩვენი მსჯელობებისთვის. ანუ ჩვენ გვაქვს დაახლოებით ათი წლის წინ სახლის კედლებში ჩატანებული ოთხი სხვადასხვა გარეგნობის გოგონა, რომელთა ასაკი ერთმანეთის იდენტურია. ყველა მათგანი არის იდეალურად შეფუთული...

- და ნუ დაგავიწყდება, რომ არსად ძალადობის კვალი არ ჩანს. უფრო მეტიც, ძვლების გამოკვლევამ წინა შემთხვევაში აჩვენა, რომ გოგონები კარგად იკვებებოდნენ - ექსპერტმა მონაცემები შემოგვაშველა.

- აჰა, ეს კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ დანაშაული ზრდასრული ადამიანის ჩადენილია. თუ შევაგროვებთ ამ ინფორმაციებს, შეიძლება ერთგვარი სიუჟეტის აწყობაც - ვგრძნობ, როგორ ჩავერთე საქმეში და გონებაში დატრიალებულ კადრებს ხმამაღლა ვახმოვანებ.

- გოგონები არიან ოჯახში. არ ვიცი რა როგორ აღმოჩნდნენ იქ და რა მიზნით, მაგრამ არიან ზრდასრულებთან, სადაც მათ ისე ეპყრობიან, როგორც ოჯახის წევრს, იკვებებიან კარგად და ვიღაცა სიკვდილის მერეც კი ზრუნავს მათზე.

- სავსებით მისაღები ლოგიკაა. ამას დაამატეთ ის, რომ წინა ორი გოგონა საძილე აბების გადაჭარბებული დოზის მოქმედების შედეგადაა გარდაცვლილი. თითქოს ვიღაცამ დააძინა ისინი სამუდამოდ ისე, რომ არ უნდოდა ზიანი მიეყენებინა მათთვის. მითხარით, რას გაგონებთ ეს ყველაფერი? - ჯერ ვერ ვხვდები ზუსტად, მაგრამ სადაც საქმის გასაღებთან ახლოს ვარ!

- მე ოჯახური სიტუაცია წარმოვიდგინე, ელ! - მპასუხობს აღმოჩენით გახარებული კარლი. დედა, მამა, მათი ორი შვილი. ოჯახური სიტუაცია, სადაც ყველა ერთმანეთზე ზრუნავს, უვლიან ერთმანეთს. და საღამოობით მშობლები აძინებენ ბავშვებს. აი, ამას მაგონებს.

ყველა ერთმანეთს ვუყურებთ. თითქოს მართლა რაღაც ლოგიკამდე მივედით, მაგრამ თან არაფერი გვაქვს ხელთ.

მთავარი შეკითხვა ისაა, რატომ შეიძლება ზრდასრულ ადამიანებს, დავუშვათ ცოლ-ქმარს ჰქონოდათ სურვილი გაეჩინათ სუროგატი გოგონები? პირველივე და მარტივი პასუხია, მათ არ ჰყავდათ შვილი და ცდილობდნენ ეს დანაკლისი სხვა გოგონებით შეეცნოთ და როცა მათი წარმოდგენები შვილზე არ ემთხვეოდა ამ გოგონების ან გარეგნობას, ან ხასიათს, მერე უკვე... ხდებოდა ის, რაც ხდებოდა.

თითქოს კარგი კავშირია, მაგრამ ამ ერთ ვარიანტზე გაჩერება უბრალოდ არ შემიძლია.

- კიდევ, კარლ? კიდევ რა შეიძლებოდა ყოფილიყო - დაჟინებით ვეკითხები ისედაც შეფიქრიანებულ ბიჭს.

კარლი წამით გაჩერდა. თვალები გამისწორა და ურყევად მითხრა: მათ შვილი გარდაეცვალათ, ელ.

მართალია! უშვილო წყვილის შემთხვევაში ემოცია ასეთი მძაფრი ვერ იქნებოდა, რომ ეძებნათ მათი შვილის მსგავსი გოგონები და მერე მოეკლათ. აბსტრაქტული რამეების წარმოდგენა, ადამიანების გონებაში ასე შორს, როგორც წესი, არ მიდის. მაგრამ აი, კარლის ვერსია ძალიან ლოგიკური მეჩვენება.

ორი მიმართულებით ვიწყებთ ძებნას: მოცემულ რადიუსში ვეძებთ წყვილს, რომლებსაც ა) არ ჰყავდათ შვილი და ბ) გარდაეცვალათ პატარა ასაკის.

- პატარა რატომ? - კითხვა შემომავება თანაშემწემ.

- თუ ეს მშობლების ჩადენილია, ისინი სუროგატს ეძებდნენ. გოგონა დიდი რომ ყოფილიყო, მათ ძიება არ მოუწევდათ. თავადაც ხედავთ, ოთხი სხვადასხვა გოგონაა ნაპოვნი. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ისინი ვერ თანხმდებოდნენ როგორი შეიძლებოდა მათი გოგონა გაზრდილიყო. რა ფერის თმა ექნებოდა, რა ფერის თვალები, რამდენი იქნებოდა სიმაღლეში, ამას დაამატეთ, როგორი ხასიათი ექნებოდა. ამ ყველაფერს სხვადასხვა გოგონებში ეძებდნენ მშობლები და როგორც ჩანს, ვერც ერთხელ ვერ მიუსადაგეს მათ შვილს. ამათი ასაკის რომ ყოფილიყო, მას ყველაფერი ჩამოყალიბებული ექნებოდა, შესაბამისად ერთი სუროგატის შერჩევა იქნებოდა საკმარისი.

- ნეტავ კიდევ რამდენია მსხვერპლი? სანამდე გააგრძელეს პოვნა? მიაგნეს კი? - იკითხა კარლმა.

- რთულია თქმა, ძალიან რთული - გამოეხმაურა ექსპერტი.

- იცით, ახლა დავფიქრდი და დიდი ალბათობით გოგონა ჩვილობაში გარდაიცვალა. თუ ეს ყველაფერი უნდა ეძებნათ მშობლებს და მიესადაგებინათ, ესე იგი, ის დაბადებიდან ძალიან მალე გარდაიცვალა, როცა არ იყო მისი არანაირი გარეგნული მონაცემი გამოკვეთილი - ჩემივე დასკვნამ გამახარა.

ოთახში სიჩუმე გამეფდა. მივხვდით, რა გზით უნდა წასულიყო მუშაობა.

კარლი თავის სამუშაო ოთახში უნდა დაბრუნებულიყო, პროგრამულად მოემეხნა ყველა მონაცემი. შემომთავაზა წავსულიყავი.

- იქნებ, ახლა მაინც მომიყვე „როუზ გარდენსში“ რა ხდებოდა? - მანქანაში ჩავსხედით თუ არა, მკითხა. ვიგრძენი ორჭოფობდა, მაგრამ იმდენად უნდოდა გაეგო ამბები, მკითხა მაინც. ვეცადე სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

- რა უნდა მომხდარიყო, კარლ. ჩემს ფიქრებში ვიყავი ჩაფლული და უცებ დამადექი თავზე, შევშინდი, სულ ეს იყო.

- გარეთ კეპიანი მამაკაცი შევნიშნე, ელ...

ვერაფით წარმოვიდგენდი, ეგ თუ დაინახა. შევცბი, მაგრამ ვეცადე თავი ხელში ამეყვანა.

- იცი? დამთხვევაა უბრალოდ, წიგნთან დაკავშირებით ერთ ადამიანს უნდა შევხვედროდი... ვიფიქრე რომ ის იყო - ბანალური ტყუილით კარლთან თავს ვერ დავიძვრენდი, მაგრამ ვეცადე მაინც.

- უცნობი თავყვანისმცემელი? - ეჭვიანად ჩააგდო კითხვა.

- კარგი, გნებდები - თავის დაძვრენის მარტივი გზა მოვიფიქრე უცებ. ჰო, ერთი ძალიან კარგი ადამიანი, საინტერესო, ვიცნობ ისედაც, მაგრამ რატომღაც გადაწყვიტა ასე არაოფიციალურად შემხვედროდა - არაფრისმომცემი ელფერით მინდა შევფუთო უცნობის ამბავი, კარლის ყურს რომ არ მისწვდეს საეჭვოდ და არ დაიწყოს თავისებური გამოძიება.

- აჰა. ჭკვიანია? სიმპათიური? - კარლის გულწრფელ შეკითხვებზე მივხვდი, რომ გამომივიდა.

შევფუცხუნდი, მანქანის სავარძელში მოხერხებულად მოვკალათდი და ურყევი ტონით გავაგრძელე „ამბის“ მოყოლა.

- დიახ, კარლ. სიმპათიურია და ჭკვიანი. თუმცა არა მგონია, რამე გამოვიდეს ამ ურთიერთობიდან. მაქსიმუმ, მორიგი წიგნის პრეზენტაციაზე წავიდეს ჩემგან საგანგებო ავტოგრაფით ხელდამშვენებული.

კარლმა ნერვიულად შეათამაშა საყელო.

- არ მითხრა, რომ მეგობარზე ეჭვიანობა კარგი გგონია! - უფრო და უფრო ვთამამდები. რა ბედნიერებაა, რომ კარლი ვერაფერს მიხვდა. მეტი დამაჯერებლობა, ცოტაც, ელაიზა და მეტს აღარ შეგაწუხებს შენი კარლიკო ამ შეკითხვებით - ვაიმედებ თავს.

- ეჭვიანობა რა შუაშია. რამე საფრთხე ხომ არ გემუქრება, ეგ მაინტერესებს. დანარჩენი, ვისთან რა მიზნით იწყებ შეხვედრას, რა ჩემი საქმეა - ისე საწყლად ამოილულულა სიტყვები, ლამის შევეშხადე გულიანად ჩავხუტებოდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, თავი შევიკავე. ასეთ დროს ყოველთვის მერთვება გონებაში ის ამბავი, რომ კარლი სულ მოგზავნილი მგონია. ახლაც

დავიმორჩილე სხეული და ისევ საქმეზე დავიწყე საუბარი: ახლა რომ ჩვენს აღმოჩენებს მივუბრუნდეთ, რამდენად სწრაფად შეძლებ დადგენას, იმ არეალში რამდენია ასეთი წყვილი იყო?

ვატყობ, კარლს დიდად არ ეპიტნავა თემის შეცვლა, მაგრამ ამყვა საუბარში.

- ძებნის არეალი უნდა შევამციროთ მაქსიმალურად. დავიწყეთ იმ წყვილებით, რომლებსაც მშობიარობის შემდგომ ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდათ ან სამშობიაროში ინახება მონაცემები იმის შესახებ, რომ მათ შვილი დაკარგეს.

- მშვენიერი სტრატეგიაა - ისევ ერთიანად გადავეშვი საქმეზე. ამას დავამატოთ, მეზობლების გამოკითხვა. ყველა ასეთი საექვო წყვილის სახლში ვიზიტისას აუცილებლად გავესაუბროთ მეზობლებს. ექმიტანილებს, დიდი ალბათობით იდეალური ოჯახის სახელი უნდა ჰქონოდათ. მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, უცხო თვალისთვის ზედმეტადაც კი. ეს რამე ხელჩასაჭიდ მონაცემს მოგვცემს.

- ელ, წამოხვალ ჩემთან სამსახურში? - მოულოდნელად მეკითხება კარლი. ვფიქრობ, ამჯერად რით დავიმტკიცო თავი. მაგრამ უცნაური რამ მემართება, სულაც არ მინდა თავის დაძვრენა! ჰოი, საოცრება! ვზივარ აბნეული და ჩემი პასუხის მოლოდინში გატრუნულ კარლს ვაკვირდები.

იქნებ დროა მოვიშორო ეს უსაფუძვლო ეჭვები და მივიღო კარლი ნამდვილ მეგობრად? ბოლოსდაბოლოს, წარმოდგენა არ მაქვს რას მიპირებს ის უცნობი ადამიანი და ვინმემ მაინც ხომ უნდა იცოდეს რა მოხდება, თუ მას ცუდი მიზნები ამოდრავებს ჩემთან დაკავშირებით? ან სულაც, იქნებ კარლს ვთხოვო, დამეხმაროს მის მოძებნაში? ეს ბოლო ნაწილი რაღაც არ მომწონს. ამიტომ ისევ თავდაპირველ ვერსიას ვაწვები.

მოდი, მივიღებ კარლს მეგობრად.

- წამოვალ, კარლ! - ვამბობ ომახიანად და კარლის გაოცებულ თვალებს ვხედავ უკანა ხედვის სარკეში.

- ელ, ეს შენ ხარ? - მეკითხება გაოცებული და თვალს არ მაშორებს, ემინია არ გადავიფიქრო.

- მე ვარ, აბა ვინ უნდა იყოს, სხვა ელს იცნობ ვინმეს ჩემნაირ ლამაზს და ჭკვიანს? - გამხიარულებას ვცდილობ.

- შენ არ იცი როგორ გაახარებ ჩემს უფროსს. საუკუნეა მთხოვს, შეგახვედრო. შენ კი ისე ჯიუტდებოდი, მრცხვენოდა დამეძალებინა. გაიცნობ და ნახავ, როგორი აღფთოროვნებულია შენით.

- კარლის უფროსის გაცნობის იდეა დიდად არ მხიბლავს, მაგრამ უკვე გადავეშვი მორევში და უკან ხომ არ დავიხევ. ამიტომ, ნამალადევი ვუღიმი კარლს და უფროსთან შესახვედრად ვემზადები.

- ძალიან უჟმურია შენი უფროსი, თუ ცოტათი უჟმური? ვცდილობ დრო გავიყვანო. ათას სისულელეზე შემიძლია ამ დროს ვილაპარაკო.

- საიდან მოიტანე. ძალიან კარგი ადამიანია. სულ მეკითხება შენზე ამბებს. მადლობას მბარებს და სურვილს გამოთქვამს, ოდესმე იქნებ დართო ნება, რომ შეხვდე.

- ელ, ახლა იცი რაზე დავფიქრდი?

- რაზე, კარლ?

- ნეტავ ის უცნობი მამაკაცი ადრე გამოჩენილიყო, როგორ მორბილდი, იცი? მგონი მალე აკეკლუცდები კიდევ.

კარლს ვუღიმი. ხმას არ ვიღებ, არ მინდა შემამჩნიოს, რომ სხვა რამეშია საქმე. გულის სიღრმეში მიხარია, რომ ჩვეულებრივი უცნობი მამაკაცი ჰგონია და მეტი არაფერი. მიხარია, რომ ეჭვები არ გასჩენია და ჩამიებას არ დაიწყებს. ზოგჯერ როგორ მარტივია ცხოვრება, როცა ტყუილის თქმისას შეგიძლია თავის ისე დაჭერა, თითქოს აბსოლუტურ სიმართლეს ლაპარაკობდე. თუმცა არა ყოველთვის და ყველასთან.

მაგრამ მთავარია, ახლა გამოვძვერი და ის უცნობი შემეხმიანება თუ არა, უკვე დიდად არ მალელებს. მე მაინც არ ვიცი მისი კოორდინატები. საქვეყნოდ ძებნას კი არ დავუწყებ. მოკლედ, მივყვები დინებას. იქნებ დროა მეყოს ამდენ თავგადასავალში ერთდროულად ჩართვა და მხოლოდ ჯეინის თავგადასავალზე ვკონცერტირდე?

კარგი იქნება. რამდენჯერ დავიწყე და გავწყვიტე ბოლოს წიგნის წერა. ახლა კარგი დრო მაქვს გასაგრძელებლად. ამიტომ, ამ საქმეს მოვრჩები თუ არა, მაშინვე ვაახლებ წერას.

იმის მიუხედავად, რომ კარლის უფროსი ცდილობდა ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე, მაინც რაღაცნაირად არ მესიამოვნა მისი გაცნობა. ალბათ იმიტომ, რომ მე არასოდეს ვართმევ ხელს ადამიანებს. ფობია მაქვს ერთგვარი. ხელის ჩამორთმევა ძალიან ინტიმური პროცესი მგონია და არ მიყვარს საკუთარ თავთან იდილიის დარღვევა. ერთადერთი, ვისაც ჩემი ნებით ხელი ჩამოვართვი პირველივე ნახვაზე, კარლი იყო. კიდევ ერთ-ორი ჩემი ნაცნობი, სხვა არავინ მახსენდება.

აი, კარლის უფროსი კი ჯიქურად გამოემართა ჩემკენ და ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად. კარლი სიტუაციას მიხვდა. მართლა ძალიან კარგად მიცნობს ეს ბიჭი, მაგრამ ასე მოულოდნელად უფროსს ვერ მიაჭრიდა და ვერ ეტყოდა: იცით, ელაიზას ხელის ჩამორთმევა არ უყვარს უცხო ადამიანებისთვის. არც მეგობრებს გვანებივრებს ამ ქმედებით. იდგა უბრალოდ და დაძაბული შემომყურებდა, რას მოვიმოქმედებდი. ხელი უხალისოდ ჩამოვართვი უფროსს, არ მომრიდებია, მინდოდა კარგად ეგრძნო, რომ არ მესიამოვნა მისგან ეს ჟესტი. სხვა დროისთვის პრევენციული ქმედება იყო ჩემი მხრიდან. თუმცა, იქნებ ეს სხვა დრო არც არასდროს დამდგარიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ვეცადე, უხერხულობა ეგრძნო.

- როგორ უხეშად ჩამომართვა ხელი - აღშფოთება ვერ დავმალე კარლთან, როცა კი მისი უფროსი თვალს მიეფარა. ასე მგონია ხელის მტევანზე ყველა თითი გადაითვალა, ისე მაგრად ჩამომართვა ხელი.

- უნდოდა ეჩვენებინა როგორ პატივს გცემს და როგორ უხარია შენი გაცნობა - სხვა ვერაფერი მოიფიქრა კარლმა, რომელმაც აშკარად შეატყო როგორ უხეშად ჩამომართვა მართლა ხელი ზორბა მამაკაცმა.

- ხელი თითქოს მიხურს, ისეთი შეგრძნება მაქვს. მგონი შენმა უფროსმა დამასკანერა - სიცილს ვერ ვიკავებ. კარლიც გამხიარულდა.

- რას არ იტყვი ხოლმე, ელ. შენი გონება და ფანტაზიის გასაქანი მომცა, რა ბედნიერი ადამიანი ვიქნებოდი გალაქტიკაში - თქვა და თვალები ცისკენ ალაპყრო.

- იცი, როგორ მღლის ჩემი გონება და ფანტაზიები? - ვპასუხობ სხაპასხუპით. რომ დავფიქრდე ყველაფერი მართლა მღლის. ბევრი ფიქრი მღლის. ეს მუდმივი ხალხში ყოფნა, ახალი წიგნებზე საუბარი, ქოთქოთი, ხალხმრავლობა, მუზეები, ახლა ეს უცნობი მამაკაცი და გოგონების საქმეც.

ძალიან მღლის - ვფიქრობ, მაგრამ კარლთან ჩემი ფიქრის მხოლოდ ნაწილს ვახმოვანებ - შენ რომ ჩემი გონება და ფანტაზია გქონდეს, ჩემზე ადრე დაიღლებოდი საკუთარი თავით, დამიჯერე - მთელი გულწრფელობით ვუყვები კარლს, რომელიც თავისი სამუშაო ოთახისკენ მიმიძღვის.

ფართე დერეფანს ვაკვირდები. შუშის კედლებს მიღმა ადამიანები დადიან, ფუსფუსებენ, საქმიანი ქაღალდები და პლანშეტები უჭირავთ და არ იღიმებიან. მესმის რატომაც. მე ფანტაზიებში წარმოვიდგენ სიუჟეტებს, ეს ხალხი კი რეალური სამყაროს საშინელებებს უყურებს საკუთარი თვალით. სავსებით ბუნებრივია, რომ არ ეღიმებათ.

- ელ, არ მჯერა, რომ ამდენი წლის მეგობრობის მერე დღეს მართლა აქ ხარ. ჩემს სამფლობელოში, ჩემს სამუშაო ოთახში. რამდენი დამე მითენებია აქ, რამდენჯერ გამხსენებიახარ და მიფიქრია შენზე ამ სკამიდან, ამ მაგიდასთან მჯდომს.

დამორცხვილი ვიყურები. მიინდა დავაიმედო, რომ დღეიდან თუ ყველაფერი არა, ბევრი რამე შეიცვლება, მაგრამ წინდახედულობა არ მამღვეს დამშვიდების საშუალებას. აი, ესეც მღლის, მუდმივად შემართული გონებით ყოფნა, არასდროს ვდუნდები. ახლაც, ხომ შეიძლება მარტივად ვუთხრა კარლს რაც გაფიქრე, მაგრამ არა. რაღაც ძალა მაკავებს, რომ გავიხსნა.

ამასობაში კარლს მონაცემთა გრაფა გაუხსნია და ძიებას იწყებს. ისევე საქმეს დავუბრუნდით.

სადიებო სისტემაში ჩვენ მიერ მითითებული კრიტერიუმით მხოლოდ სამი ოჯახი გამოვლინდა. ორ მათგანს მშობიარობის დროს ბიჭი დაუკარგავთ. მესამე ოჯახი, ძებნის კრიტერიუმების მიხედვით, ასეთი დაფიქსირდა:

მშობიარობის შემდგომ გართულებებზე და ქალების ფსიქო-სოციალურ დახმარებაზე პასუხისმგებლობა ერთმა ოჯახმა აიღო. მათ გამოსაჯანსაღებელი ცენტრი გახსნეს საკუთარ სახლში. დიდი შანსია, ჩვენი ექვმიტანილი წყვილი ამ ოჯახს სტუმრობდა და იქ ინახება რამე მაიდენტიფიცირებელი მონაცემი. თავად ამ ოჯახს რაც შეეხება, ისიც შესაძლოა იყოს ექვმიტანილი, რომ არა ერთი უცნაურობა, რომ ოჯახს ვაჟი ჰყავდა და ეს ვაჟი ახლაც საღსალამათი და ჯანმრთელი აგრძელებდა ცხოვრებას მშობლების სახლში.

მაგრამ რადგან სიტუაციის შესაფასებლად და ყველა ექვის გამოსარიცხად უნდა გვემოქმედა, გადავწყვიტეთ ამ ოჯახს ვწვეოდით.

კარი ოცდახუთ წლამდე ახალგაზრდა მამაკაცმა გაგვიღო და ღიმილით შეგვიპატიჟა შიგნით. სახლი თანამედროვედ მოწყობილი იყო. კედლებზე მშობლებთან ფოტოები ეკიდა.

ის ფაქტი, რომ ოჯახს ბიჭი ჰყავდა, მსხვერპლები კი გოგონას სუროგატები იყვნენ, ურთიერთგამომრიცხავი ამბავი იყო, ამიტომაც ოჯახს ექვმიტანილის სტატუსი უნდა მოხსნოდა და საქმეში დამხმარე ექსპერტად უნდა ჩართულიყვნენ.

ჩვენი მასპინძელი რონი მთელი გატაცებით გვიყვებოდა მათი მშობლების სიყვარულის და იდეალური ოჯახის ამბებს. გვეუბნებოდა, როგორ ამაყობს მათით. აღმოჩნდა, რომ დედა

გარდაცვლილი იყო, ხოლო მამა სხვა ქალაქში ცხოვრობდა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ და ჩაკეტილ ცხოვრებას ეწოდა.

რონიც მარტო ცხოვრობდა. გული მწყდებოდა მამისგან შორს ყოფნით, მაგრამ რადგან ასე შეთანხმდნენ, საწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდა.

ვუსმენდი რონის და გონება რაღაც საეჭვოს, ხელჩასაჭიდის პოვნას მაიძულებდა. ყურადღებით ვათვალისწინებდი კედლებს, ხომ შეიძლებოდა ეს კედლებიც იმავე ცემენტით ნაშენები ყოფილიყო, როგორშიც გოგონები ვიპოვეთ. ვცდილობდი, გამომეცნო, რა საიდუმლო შეიძლებოდა შეენახა ამ სახლს და სად შეემძლო მისი პოვნა. მთელ სახლში სხვადასხვა ფორმის და გამოსახულების სკულპტურა იდგა. ხის ჩარჩოებში რონის ბავშვობისდროინდელი ფოტოები ჩაესვით. ფოტოაპარატზე ვცდილობდი ყველა დეტალის აღბეჭდვას, რომ მერე დასვენებულ გონებაზე კიდევ ერთხელ დამეწყო საეჭვოს ძებნა.

რონის სახლიდან წამოსული მაშინვე ჩავუჯექი იქ გადაღებული ფოტოების თვალისწინებას. არა, რაღაცას მალავს ეს სახლი. დიდი ალბათობით, რონის წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ სახლი მალავს. ჰოდა, უნდა ვიპოვო! ასეთია ჩემი ამოცანა.

მეასედ მაინც ვუყურებ ფოტოებს. რონი ორი თვის, რონი სკოლაში, რონი საახალწლო ზეიმზე, რამდენი ფოტოა რონის... აქ უნდა ვნახო ხელჩასაჭიდი, ან იმ ფოტოებზე, სარეაბილიტაციოდ მოსულ დედებთან რომ აქვთ მის მშობლებს გადაღებული. მინდა დეტალურად გავარკვიო მათი ვინაობა, ახლა სად არიან, მათ შორის რამდენს ჰყავდა გოგონა. იქნებ რამე კვალზე გავიდე.

ისევ რონის ფოტოებს მივუბრუნდი. დეტალების დაჭერა მინდა. ესეც ერთი დღის რონი... ერთი კვირის... ერთი თვის... ერთი წლის... ვცდილობ ეს თანმიმდევრობა გავშიფრო. ფოტოები ოთახის ერთ კუთხეშია გადაღებული. გონებას ვძაბავ. რონი... რონი... რას ინახავს შენი ფოტოები? გონებაში რონის ვესაუბრები და ვცდილობ ასმაგი ყურადღებით დავაკვირდე გარემოს. ერთი დღის რონის ფოტოზე ჩვეულებრივი ახალდაბადებული ბავშვია გამოსახული, ჩვრებში გახვეული, გვერდით სათამაშო უდევს. მარტო წევს ბავშვის მოძრავ საწოლში. მხოლოდ ბავშვი ჩანს.

ჰმ, რა უცნაურია, მხოლოდ ახლა ვაფიქსირებ, რომ რონის ბავშვობის ფოტოებში არსად მშობლები არ არიან. ხომ შეიძლება დედამ აიყვანოს შვილი და მამამ გადაუღოს ფოტო და პირიქით? კი, ლოგიკური. ჰოდა, ამ ფოტოებში ეს არსად არაა. რონიზეა მხოლოდ ფოკუსი. ჩანს მხოლოდ რონი და მისი სათამაშოები... დამაბულობა მემატება, აქ რაღაცა იმალება ნამდვილად.

და აი, ისიც! ღმერთო, ეს აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე?!

ერთი დღის და ერთი კვირის რონის ფოტოებზე ორი ცალი მატყუარა ჩანს!

ერთი რონისთან დევს ახლოსვე, მეორე მოშორებით, გეგონება ვიღაცას დაავიწყდა მისი ალება და გდია სასხვათაშორისოდ.

ტვინში ყველაფერი მებურღება. ანუ რა გამოდის? რა გამოდის? რონის და ჰყავს! ისე, რომ მას წარმოდგენა არ აქვს ამაზე!

სასწრაფოდ ვურეკავ კარლს!

- კარლ, რონის და ჰყავდა, რომლის არსებობა არ იცის. სასწრაფოდ ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ მუშაობა! - ჩემივე აღმოჩენისგან გაოგნებული ვარ. კარლის სუნთქვა მესმის ყურმილში.

- გენიოსი ხარ, ელ! ეს ფოტოები და სამოქმედო გეგმა გამომიგზავნე, გარკვევას და მის მამასთან დაკავშირებას ახლავ დავიწყებ, წამებში!

ფაქსის აპარატს გიჟივით ვეცი. ფოტოები სკანერზე გავუშვი და გონებაში კითხვები ჩამოვყარე, რაც რონისთვის და უფრო მეტად მისი მამისთვის უნდა დაგვესვა.

ფაქსის წრიპინა ხმამ ფიქრებიდან გამომაფხიზლა. კარლი მიგზავნის ალბათ რამეს - გავიფიქრე გონებაში და ისე რომ არც დამიხედავს, მიღების ღილაკს დავაწეე.

მოვტყუვდი!

ისევ ის უცნობი მამაკაცი იყო!

ახლა. ისევ. ასეთი გადაშვებული ვარ საქმეში, რაღაც დეტალები იკვეთება და კიდევ ახალი საფიქრალი დამემატა! ახლავ მივხვდი, რომ ამ უცნობის არსებობა რონის საქმემ გადამავიწყა. მაგრამ როგორ ჩანს, მას არ დავვიწყებოვარ. თან მოწერებს შორის დროის შუალედიც შეამცირა. ბოლო ერთ ორ თვეში ეს მისი მეორე წერილია.

ნეტავ რა უნდა? სასწრაფოდ ამოვადრე ქალაქი ფაქსის აპარატიდან და გამალეობით შევუდექი წაკითხვას.

ისევ შეხვედრას ითხოვდა. ამჯერად ხალხმრავალ ადგილას, ქალაქის ცენტრალურ სავაჭრო ობიექტში. მწერდა, რომ დრო არ ითმენს. რომ აუცილებლად უნდა შედგეს ჩვენი შეხვედრა.

ბოლოში ისევ იგივე ხელწერა: შენი ედვარდი.

რონის მშობლების ამბავზე მინდა გადართვა, მაგრამ ამაოდ. ვერ ვკონცერტირდები. ის ჩამოწიკვიკვიებული კითხვებიც სადღაც გაქრა და ისევ უცნობი მამაკაცის შესახებ ინფორმაციების ამოყრა დაიწყო ჩემმა გონებამ.

სავაჭრო ცენტრის კამერების იმედად მივდივარ და ჩამწერი მოწყობილობა არ მიმიმაგრებია სხეულზე. თან უნდა ვალიარო, ამისთვის არც დრო მქონდა და არც სურვილი. მოვეშვი, რაც მოხდება, მოხდეს. იმდენი რამე მომეყარა ერთიანად, აზროვნებასაც ვერ ვასწრებ. არაფერს ვამბობ ჩემს წიგნზე. რომ გავწყვიტე და ვერაფრით ვაგრძელებ.

სავაჭრო ცენტრი გადავსებულია ხალხით. ნებისმიერი მათგანი შეიძლება იყოს უცნობი. ვაკვირდები, მაკვირდებიან, მაგრამ ვერავის ვამსგავსებ კონკრეტულად. მითითებული ადგილისკენ მივდივარ მშვიდად.

სავაჭრო ცენტრის შუაგულში უზარმაზარი საათი კიდია. პლანეტების ფორმა აქვს და ყოველ სრულ საათზე საოცარ ხმებს გამოსცემს. მიყვარს ამ პლანეტების ქვეშ დგომა. ბავშვივით მივაჩერდები ხოლმე და ვდგავარ ასე მოწყვეტილი რეალობას.

საიდან არ ვიცი, მაგრამ უცნობმა ზუსტად ამ პლანეტების ქვეშ მონიშნა შეხვედრის ადგილი. ღმერთო, რამდენი კითხვა მაქვს მასთან. საიდან იცის რომ მე აქ მიყვარს დგომა? ალბათ მითვალთვალებს და იქიდან.

უცებ უამრავ ადამიანს შორის მის სილუეტს ვარჩევ. უცნაური ისაა, რომ ზურგიდან მიახლოვდება, მე კი წინ ვიყურები. ასე მგონია რაღაცა მიზიდულობის ძალით ვუკავშირდები. მეშინია შემოტრიალების, არ ვიცი რა დამხვდება წინ, ვინ დამხვდება, მაგრამ უნდა

შემოვტრიალდე. ვგრძნობ მოდის და მოაქვს ძალიან ნაცნობი სურნელი. რომელიმე სუნამოსი კი არა, აი, თავისი სხეულის, ბუნებრივი. საიდანღაც მეცნობა ეს სუნი...

უცებ კარლის სიტყვები მახსენდება: შენნაირი წარმოსახვის უნარი რომ მქონდეს, რა ბედნიერი ვიქნებიო. მიკვირს და გულის სიღრმეში ვერაფრით ვიჯერებ, როგორი ძლიერი უნდა იყოს წარმოსახვა, რომ სრულიად უცხო ადამიანთან კავშირი მაგრძნობინოს და უცხო სხეულის სურნელი ახლობლურად მომაჩვენოს. ან იქნებ, სულაც არაა უცხო?

ძალას ვიკრებ და ვტრიალდები. იგივე კეპი ახურავს. საშუალოზე მაღალია. ჩამოსხმული ტანით. დინჯად მოაბიჯებს ჩემკენ, ცენტრის შუაში, მე პლანეტების ქვეშ ვდგავარ და რაღაც ამოუხსნელის მოლოდინში თვალეებს ვაცეცებ.

უცებ, არსაიდან, თითქოს ქარს გამოჰყვავო, ხელყუმბარის აფეთქების გამაყრუებელ ხმაში ვიძირებით! სუნთქვა გამიჩერდა. მე მოვკვდი!

თვალი გავახილე თუ არა, რაღაც ხმა ამოვუშვი ყელიდან. მხოლოდ ის მაინტერესებდა, ცოცხალი ვიყავი თუ არა. ჩემს ხმაზე რომ მედდამ სიხარულით შეჰკვივლა, მივხვდი, რაღაც ისეთი უნდა გამეგო, რასაც არ ველოდი.

- ასე უცებ, დაახლოებით ათ დღეში არავინ გამოსულა კომადან - მთავარი ექიმი გოცეხას ვერ მალავდა.

ბოლოს სად ვიყავი, თამამად გავიხსენე. სავაჭრო ცენტრში გამახსენდა ჩემი თავი, უცნობი მამაკაცის მოახლოებას ველოდი. მოვიდა? ეს აფეთქება მან მოაწყო? რა მოხდა? თავში ათასგვარი კითხვა მიტრიალებს, მაგრამ ვერავის ვერაფერს ვეკითხები.

ოთახში კარლის მოტანილი უამრავი ყვავილი და მოსაკითხი ბარათებია. მედდას ვანიშნე სასწრაფოდ წაეკითხა ყველა მათგანი ჩემთვის. უმეტესობა მკითხველებისგანაა და რამდენიმე კარლისგან. არც ერთი უცნობი მამაკაცისგან.

- იქნებ მან ამაფეთქა? - მაინც ვერ დავიძვრენ თავს ამ კითხვისგან და რაც უფრო დროულად დავიწყებ ფიქრს, მით უკეთესი. თუ საფრთხე მელის, სასწრაფოდ უნდა დავუკავშირდე კარლს და სადმე უსაფრთხო ადგილას ვთხოვო გადაყვანა.

- ჩემმა ინტუიციამ მიღალატა, უცნობი რომ საფრთხედ არ მივიჩნიე - ამის მეშინოდა ყველაზე მეტად და აი, ეს დღეც დადგა. სიმართლეს თვალეებში ჩავხედე. ეს აფეთქება უბრალო დამთხვევა იყოს, არაფრით მგონია. განძრევა საოცრად მიჭირს, მაგრამ ვგრძნობ, შინაგანად როგორ ავფორიაქდი. სამტროდ მოსულა უცნობი და ჩემს მოსაკლავად. მე კიდევ რაღაც ფანტაზიებს და გატაცებებს გადავყევი კინაღამ - ჩემს თავზე ვბრაზობ.

თითქოს ჩემი ფიქრები გაიგო, მთავარი ექიმი სასაუბროდ მომიბრუნდა: თქვენ ახლა მეხსიერება სანახევროდ გათიშული გაქვთ, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებლად აღდგება, ნუ დაიტვირთავთ თავს მოვლენების გახსენებით. მოკლედ მეც მოგიყვებით რაც მოხდა: იმ სავაჭრო ცენტრს, სადაც თქვენ იმყოფებოდით, ტერორისტები დაესხნენ თავს, ორგანიზატორები მაშინვე დააკავეს, თუმცა მედიას თუ დაუჯერებთ, ეს ყველაფერი თავად სახელმწიფოს მოწყობილი იყო, ოღონდ რა მიზეზით, ჯერ არ ხმაურდება. ასეა თუ ისე, თქვენ გაგიმართლათ, მსხვერპლებს შორის რომ არ აღმოჩნდით. - ყურები ვცქვიტე, მაგრამ ვიცოდი მოთმინება მმართვედა.

- როგორ გადავრჩი? ისე ახლოს ვიგრძენი აფეთქების ხმა, მეგონა მოვკვდი.
- უცნობმა მამაკაცმა გადაგარჩინათ - მძასუხობს მთავარი ექიმი. ვფიქრობ მომესმა. ვგრძნობ თვალები გამიფართოვდა. უჩვეულო ხმას ვუშვებ ისევ ყელიდან.
- ნუ ნერვიულობთ, დამშვიდდით, გთხოვთ - ექიმი ცდილობს დამამშვიდოს.
- უცნობი მამაკაცის წყალობით მსხვერპლის რიცხვი გაცილებით მცირეა. მან მოახერხა და პირველადი დახმარება გაუწია რამდენიმე დაზარალებულს. ხალხს მოუწოდებდა როგორ ემოქმედათ, გეგონებოდათ ზეციური რაინდი იყო, ისე იდგა ჩამონგრეული შენობის შუაგულში და ხალხის გადარჩენას ცდილობდა. კადრები ნახეთ, არის ჩანაწერები. მისი სხეული და მისი გონება იმდენად ერთგვაროვნად მუშაობდნენ, რომ დამრჩა შთაბეჭდილება სპეციალური მომზადება ჰქონდა გავლილი უცნობ მამაკაცს. იქნებ სამხედრო მოსამსახურეა, იქნებ სპეცრაზმელი - თავისთვის საუბრობდა ექიმი.

აი, ახლა ძალიან ჩაიხლართა ყველაფერი. ერთი სული მაქვს სახლში მივიდე და ვნახო, რამე შეტყობინება გამომიგზავნა თუ არა უცნობმა.

არაფერი დამხვედრია სახლში, ახლა ჩემი მოქმედების ჯერი დამდგარიყო. ამიტომაც ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა, გადავწყვიტე მედიაში გამოვსულიყავი და გამოვაცხადე, რომ უცნობი მამაკაცისთვის, რომელმაც მე და დანარჩენები გადაგვარჩინა, მინდოდა პირადად გადამეხადა მადლობა და ვითხოვე, დამკავშირებოდა, ან მიეცა საშუალება მე დავკავშირებოდი.

არც კარლი მახსოვდა ახლა, არც რონი. ჩემი გონება უცნობი მამაკაცით იყო მოცული - რა უნდოდა. ბოლოსდაბოლოს უნდა გამერკვია ყველაფერი.

გამოწერიდან ორ კვირაში, როცა დამოუკიდებლად გადაადგილება უკვე შემეძლო, ისიც გამოჩნდა!

ლოკაცია, სადაც ის მისვლას მთხოვდა ძალიან საშიშად გამოიყურებოდა ჩემთვის. ათეულობით წლების წინ აშენებული სატელიტური თეფშების ქარხანა იყო. ამჟამად გაუქმებული. არავინ იყენებდა მას.

უცნობი მობლურის, ჩამწერი მოწყობილობის და მაიდენტიფიცირებელი საშუალებების გარეშე მთხოვდა მისვლას, თან მაფრთხილებდა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მივსულიყავი დანიშნულ ადგილას.

რკინის ჯმუხ კიბეებზე ფრთხილად ჩავდივარ. არც მობილური მაქვს თან, არც არანაირი საბუთი, რაც ჩემს იდენტიფიცირებას მოახდენს, არც კარლი გამიფრთხილებია სად მოვდიოდი, არ მინდა რამემ შემიშალოს ხელი, დღეს აუცილებლად უნდა ვნახო უცნობი!

რბილი ფეხსაცმელები მაცვია და ვცდილობ, ხმაური არ გამოვიწვიო. ქარხანაში ჩასასვლელ სათადარიგო სახურავს ვხსნი და შიგნით ვეშვები.

რკინის კიბეები სადღაც სიბნელეში იკარგება. წინ უზარმარი დარბაზი ჩანს. ხმას არ ვიღებ. უცებ სახურავი იკეტება და სრულიად წყვდიადში ვდგავარ გაშეშებული. რკინის და ჟანგის აუტანელი სუნი მცემს. ვცდილობ ყოჩაღად ვიყო, მაგრამ ოფლით მენამება სახე... ხელები... წყვდიადში ვდგავარ და არანაირი საშუალება არ მაქვს გავანათო სივრცე. ხელებს ნერვიულად ვისრეს. ვერც წინ მივდივარ, ვერც უკან. ვდგავარ ასე და თითქოს შემდგომ დირექტივებს ველოდები.

მოულოდნელად მძიმე მეტალის ერთმანეთზე მიხეთქების ხმა მესმის და ცოტა ხანში შუქიც ირთვება. ღრმად ჩავისუნთქე და რამდენიმე წამით შევიკავე ჰაერი სხეულში, რომ მეგრძნო, რომ ვარსებობ ჯერ კიდევ. გაყინულ ხელებს შევხე და ფრთხილად დავიძახე: ახლა რა გავაკეთო?

ფეხები თითქოს დაბმული მაქვს, ვერ ვიძვრი ადგილიდან. სივრცეს გავყურებ. თვალუწვდენელია და არსად მთავრდება. შიში მიძლიერდება. რკინის ყუთში ვარ გამოკეტილი, ვერაფერს ვიზამ.

- პირდაპირ იარე და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას შუქს ავანთებ - ხმა მკარნახობს. გაჭირვებით ვძრავ ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა ფეხს. მიჭირს ნაბიჯების გადადგმა, აფეთქების მერე ჯერ ისევ სუსტად ვგრძნობ თავს, მაგრამ ჯიუტად მივიწევ წინ. ხმა საიდან მოდის? - ვცდილობ გავერკვე.

- კედლებში ჩაშენებული მოწყობილობიდან - ჩემს კითხვაზე გაპასუხება მაფრთხობს.

- არ მინდა შეგაშინო, უბრალოდ, სანამ ახლოს მოვალ შენთან, მინდა დავრწმუნდე, რომ შენი აქ ყოფნის არანაირი კვალი არ დატოვებ სახურავს ზემოთ.

- არაფერი მაქვს, საბუთები, მობილური და ჩამწერი მოწყობილობა სახლშიც კი გამორთული დავტოვე, როგორც მითხარით. აქ თქვენ მიერ პარკინგზე დატოვებული მანქანით მოვედი - დიალოგში შესვლა ცოტას მათამამებს და შიშიც ნელ-ნელა ქრება.

რამდენიმე წამით დუმილი ისადგურებს.

- თქვენ გადამარჩინეთ? - იქნებ ადრეა ამის კითხვა, მაგრამ მეტი არაფერი მაფიქრდება, არადა საუბარი დამაბულობას მიხსნის.

დუმილია ჩემ გარშემო.

- გესმით ჩემი? - ვეკითხები ხმას და ყოველი გადადგმული ნაბიჯის წინ ანთებულ ნათურას მივყვები.

- ნეტავ შემძლებოდა, ისე გადამერჩინე, რომ არანაირი ზიანი არ მოგყენებოდა - საოცრად თბილად ჟღერს უცნობის ხმა.

სულ მთლად დავიბენი.

- თქვენი წყალობით ვარ ახლა აქ ჯანმრთელი და ცოცხალი. მადლობა უნდა გითხრათ ამისათვის - გულწრფელად ვემადლიერები.

- ჩემი წყალობით აღმოჩნდი შენ დიდ გაუგებრობაში და მინდა თავიდან და დაწვრილებით გაგახსენო ყველაფერი. მხოლოდ ასე შევძლებ შენს დაცვას.

- დაცვას? ვისგან? - გულწრფელად მიკვირს.

- გგონია, ის აფეთქება შემთხვევითი იყო? შენზე ნადირობენ და მხოლოდ მაშინ გაჩერდებიან, როცა მოგკლავენ. მეორედ კი შენს დაკარგვას ვერ შევეგუები.

- ჩემს დაკარგვას? თქვენ? საიდან, როგორ?

